



იქორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№178 (237) 10-17 ივლისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

შესაბრებთა გადასაცემებით ჯამი არ იცვლება – ჯამი კვლავ ცარიელია

დიდი რუსი მეიჯავე კრილოვის ცნობილი იგავის „კვარტეტი“-ს არ იყო, „ნაციონალი მუსიკოსები“ როგორც არ უნდა დასხდნენ, მაინც ვერ ააწობენ მელოდიას და კაკაფონიითა და ყურის წამლები ჭკვიტინით დაგვარევენ იმ გამარჯვებულ ლაქლქით, რომელიც არ არსებობს ბუნებაში და არც იარსებებს, ვიდრე ქვეყნის სათავეში პოლიტიკურად ცვედანი „ნაციონალები“ და მათი, ასევე პოლიტიკურად გაშიშვლებული მეფე – სააკაშვილი დგას!

ექსპერტები და პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებას ნაცების მიერ „საკუთარ ხალხზე ძალადობის გაძლიერებად“ აფასებენ.

ბიძინა ივანიშვილმა კი სტეფანწმინდაში სტუმრობისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სააკაშვილი პოლიტიკის გამკაცრება სურს, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს ხელისუფლების უგუნურებას და იმას, რომ მათ ანალიზისა და მოვლენების სწორად ხედვის უნარი დაკარგეს. მისივე თქმით, ხელისუფლებას ისევ საკუთარ ხალხზე ძალადობის გაძლიერება უნდა, თუმცა, როგორც გადაადგილება არ უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მაინც არაფერი გამოიყვან.

„ხალხი ძალიან მომართულია, ძალიან ძლიერი ხალხია ქართველები. როგორც სურთ, ისეთი გადაადგილებები გააკეთონ, არაფერი არ გამოვა, მათ დარჩათ რამდენიმე თვე და ჩვენ მათ ყველას გაეისტუმრებთ. სადაც უნდათ იქ დადგნენ და დასხდნენ.“

ვირტები საქართველოს მოსახლეობას, ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება მოვა, – დასძინა ივანიშვილმა.

ზოგი ნაციონალი კულუარებში იმასაც კი ამბობს, რომ მერაბიშვილი სააკაშვილს აღარ ეუბებოდა, ეკამათებოდა და წინააღმდეგობას უწევდა და ამიტომაც წაართვა მას სააკაშვილმა ხელიდან თოფი და მისთვის საშიშ ძალად ქცეული „ქვეყნის ხერხემლი“ გაანეიტრალა. არც ეს ვერსია უნდა იყოს მოკლებული ჭეშმარიტებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მერაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნლიდან განაცხადა: „დღეს საქართველოს პოლიციას უფრო დიდი რეიტინგი გააჩნია, ვიდრე მმართველ პარტიას“. ფაქტობრივად ამ განცხადებას შემდეგი ქვეტექსტი აქვს: „ვინ არიან სააკაშვილი და ნაციონალები, ამ ქვეყანაში ერთადერთი საქმის გამკეთებელი კაცი მე ვარ!“

ეს კი ნამდვილი სიცრუეა, რადგან პოლიციისადმი შიში სულაც არ ნიშნავს სიყვარულსა და მაღალ რეიტინგს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფრიალ საეჭვო ვითარებაში დაიდგა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რაც ქალაქის ცენტრში, ყველას თვალწინ, დისიოცისით, მხეცურად ჩახოცეს უდანაშაულო ახალგაზრდები, რაც მიხანთროპების მიხედვით სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის თაკაცობით პოლიციელებმა განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუწოდებლობით დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგები, რასაც უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია.

ასე რომ, ვანო მერაბიშვილის გაპრემიერება შეიძლება ორ ვარიანტში განვიხილოთ.

პირველი – მიხედვით სააკაშვილი მართლაც აპირებს, რომ ძალაუფლება მისი გუნდის ყველაზე აქტიურ წევრს ვანო მერაბიშვილს გადააბაროს, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი სამართლიანი სასჯელი საქართველოში დატრიალებულ მრავალ უბედურებაზე. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად 2013 წლის შემდეგ, ქვეყანაში ხომ პირველი თანამდებობის პირი პრემიერი იქნება

და მეორე – სააკაშვილი უკვე იმდენად შეშფოთებულია ძალაუფლების დაკარგვის რეალური საფრთხისაგან, რომ თავის ერთგულ ჯარისკაც მერაბიშვილსაც აღარ ენდობა და ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად მოახდინა მისი ნეიტრალიზება, რათა შემდეგ უხეში გაყვალბებით მოიგოს არჩევნები, რაც ნაკლებად მოსალოდნელია...

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად 31 ივნისს წარადგინა და აღნიშნა, რომ მერაბიშვილი უეჭველად დაძლევს უმუშევრობას. საქართველოში გაძევებული ტოტალური უმუშევრობის დაძლევას ერთი ადამიანის (თუნდაც სააკაშვილის მიერ „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხერხემლად“ აღიარებული „ყოფლისშემქმნელი“ მერაბიშვილის) ძალისხმევა რომ არ ეყოფა, ეს სადალი არ არის. ამ მანკიერების დაძლევას სჭირდება ახალი ეკონომიკური კატეგორიებით აზროვნება და ინვესტიციები.

ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელიც ძირითად აქცენტს ტურიზმზე აკეთებს, გამორიცხებულია რომ ისეთი ნაბიჯები გადადგას, რაც ეკონომიკის აღორძინებით აღმოფხვრის უმუშევრობასა და მასიურ სიღატაკს. ასე რომ, უმუშევრობას საქართველოში მერაბიშვილი კი არა, ქრისტე ღმერთიც ვერ აღმოფხვრის, თუ ქვეყანას ეკონომიკის განვითარების შანსი არ მიეცა.

ვანო მერაბიშვილი რომ კარგი მენეჯერია, ამას არაფერს დაობს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მორგებულია ერთი შეუცვლად ადამიანის ხუშტურებზე (საკაშვილი რომ შეურაცხადია, ეს ლატვიელმა ექიმებმაც დაამტკიცეს, რომელთაც, ამას წინათ, მას ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის დიაგნოზი დაუსვეს), ვერც კარგი მენეჯერი გახდება ვერაფერს და ვერც ბრძენი შემოქმედი. ამ სიტუაციის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვანო მერაბიშვილი ისევე ვერ გახდება ვერაფერს საქართველოში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის საქმეში, როგორც მისი წინამორბედი, მასზე არანაკლებ ჭკვიანი და საქმიანი თვისებებით აღჭურვილი პრემიერ-მინისტრები ვერას გახდნენ.

ამიტომ, შესაბრებთა გადასაცემება ჯამს ნამდვილად ვერ შეცვლის და საქართველოს მოსახლეობას კვლავაც ცარიელი ჯამი ეკავება ხელში, თუ შემოდგომის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალები“ და მათი ახირებული ბელადი სააკაშვილი არ მოვიშორეთ თავიდან.

არაჩვეულებრივი გამოფენა – ანუ ხელისუფლების დაპირებული და განუხორციელებელი პროექტები

მართალია, საქართველოს ხელისუფლების წევრთა არც თუ ჯანსაღ ტენიანობაში სწორად განადიოებული იდეები იბადება, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ მათ ხორც-შესხმას რატომღაც ვერა და ვერ დაადგა საშედეგო! ამიტომაც გადაწყვიტეთ ჩვენი მკითხველისთვის არაჩვეულებრივი გამოფენა, სახელწოდებით – „მე ამისგან გაგაკეთებ“ მოგაწვყო.

„37 ევროდ დედაიშვას შემოვფარნით“
ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ („ვარდაპეტ-1“-მა) სააკაშვილმა ქუთაისში, კომპინარის აეროპორტის ტერმინალზე შეკრებილი საზოგადოებასთან შეხვედრისას რიხიანად გვამცნო, რომ მალე საქართველოდან ევროპაში ფრენა 37 ევროდ იქნება შესაძლებელი. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში შემოვიდა ახალი უკრაინული ავიაკომპანია „ვიზ ეარი“, რომელიც დაბალ ფასად ქუთაისიდან კიევის მიმართულებით რეისებს შეასრულებს.

„აქედან შესაძლებელი იქნება ევროპაში ფრენა 37 ევროდ თუ არა 200-ზე მეტად, როგორც ეს არის თბილისიდან. ზოგიერთი ავიაკომპანია ხალხის ხარჯზე მდიდრდება. ჩვენი დახმარებით კი აქ იაფიანი კომპანია შემოვლით. თავდაპირველად, ეს კომპანია 22 ევროდ ჩაიყვანს მგზავრებს ქუთაისიდან კიევი და დამატებით რამდენიმე ევროდ – ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ თანხად ტაქსი არ ჩამოგიყვანს საშურადან ქუთაისში. ამიტომაც ეს არის მთელი საქართველოს აეროპორტი, რადგან ამ ფასის პირობებში, ან თბილისი დაუკლებს ფასებს, ან მგზავრები თბილისიდან დაიჭრებიან ქუთაისში“, – ბრძანა პრეზიდენტმა. ექსპერტები კი ამბობენ, რომ, თუნდაც საწვავის ფასიდან გამოიძინარე (მფრინავებისა და მომსახურე მომსახურე პერსონალის ანაზღაურებაზე რომ არაფერი ვთქვათ), ამ ფასად ევროპაში ფრენა შეუძლებელია, მაგრამ რა იციან ექსპერტებმა, როცა „მთავარი ექსპერტი ყველა საკითხებში“ სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს (?). ეგენი ხომ დამაბლ კომუნისტურ ეპოქაში არიან ჩარჩენილი და ეკონომიკის თანამედროვე ანაბანასაც კი ვერ ფლობენ! 37

ევროდ არა მხოლოდ ევროპაში გადაფრინდება ადამიანი, არამედ ამ ფასად სწორი ეკონომიკური გათვლებისა და ახალი მენეჯმენტის პირობებში მიუღ დადამიწასაც შეიძლება შემოუფრინოს! თურმე სწორედ ამ დღეს დაწყებულია ჩვენი ოცნებების ასრულება. სხვათა შორის, პირადად მე ჯერ კიდევ შარშანწინდელ 19-ლარიან თვითმფრინავის ბილეთზე ვოცნებობ, იმ ბილეთზე, თბილისიდან ბათუმამდე 19 ლარად რომ უნდა ჩავფრინებ. მაგრამ რატომღაც არა და არ შემხვდა ეგ ბილეთი. არც ისეთი კაცი შემხვდა, მაგ ბილეთით რომ გაფრენილიყოს!

არადა, „მდელო ევროპაში 23 ევროდ ჩაფრინდებით“ – ჩვეული ომახით გვირდება მიხეილ სააკაშვილი. აბა, გაბედოს და შეეკამათოს ვინმე – სააკაშვილმა თქვა და მავანათვის მისი სიტყვა ღმერთის მინიშნებაზე მეტს ნიშნავს.

„შიშინავა“ არ გაამართლა
მოგეხსენებათ, 2008 წელს, მას შემდეგ, რაც მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასშტაბურ პროექტს იწყებს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა გვამცნო, რომ სირაქლეშების, ბაყაყების, ნიანგებისა და ლოკოინების ბიზნესი უნდა განვივითარებინათ. ორიოდე წლის წინ საქართველოში ეს ბიზნესგეგმა მეტად პოპულარული იყო და ქვეყნის აყვავება ამ პროექტით გარდაუვალი უნდა ყოფილიყო. ნიანგის ხორცის ევროპაში გატანა – 40 ევროდ, ტყავის გაყიდვა კი 500 ევროდ იგეგმებოდა. ამ გრანდიოზული იდეის გახმაურებიდან სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ცნობილი გახდა, რომ ეგზოტიკური ცხოველების მოშენების პროექტი სამარცხვინოდ ჩავარდა. ამაზე კინტი არ დაუძრავს საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენი მთავრობის ამ გრანდიოზული გეგმის ჩაფუშვის ამბავი უცხოურმა გამოცემა THE FINANCIAL-მა გაახმაურა – საქართველომ ვერ შეძლო ბაზარზე ნიშის მოპოვება და ბაყაყების ექსპორტი ჩაუყვარდა(?).

მოკლედ, გადაფურჩით ნიანგებისა და ლოკოინების ნაცემოსევა!

ბაზრმანს ვლამოზობი, მაბრამ...

ერთი კაცი ძალიან ჰგავდა თურმე ლენინს, განსაკუთრებით მაშინ, როცა წვერი მოუშვა. რაიკომის პირველმა მდივანმა დაიბარა და უთხრა: უხერხულია, ამხანაგო, მართლა ძალიან ჰგავხარ ლენინს, ამიტომ წვერი უნდა გაიპაროს!

– წვერს კი გავიპარსავ, ამხანაგო პირველი მდივანი, მაგრამ იდეებს რა გუყო! – მიველო თურმე იმ კაცმა.

ასე ახლა სააკაშვილის საქმეც – აღმაშენებელს ვეღარ დაემსგავსება, მაგრამ დაეთის იდეებს რა უყოს?

ერთი ასეთი იდეა იყო საქართველოში ეგზოტიკური ცხოველების მომრავლება და ამ მიმართულებით ბიზნესგეგმების შექმნა. მართალია, ბაყაყების ბიზნესში არ გაგვიმართლა, სამაგიეროდ, მალე პრეზიდენტმა ქვეყნის აყვავების ახალი ბიზნესგეგმა წარმოგიდგინა და სიტყვას საქმეც მოაყოლა, – ჯერ იყო და, მესტიაში ულტრათანამედროვე აეროპორტი ააშენებინა, რაც თურმე იმის გარანტია იყო, რომ სვანეთს ნახევარი მილიონი ტურისტი მიაწვდებოდა, ხოლო მესტიის აეროპორტი ყველაზე მასშტაბური და მომგებიანი იქნებოდა მსოფლიოში. „აეროპორტს 1200-მეტრიანი ასაფრენი ბოლიტი აქვს და ამინდის მიუხედავად, ლაინერების მიღებას ნებისმიერ სეზონზე შეიძლება. მესტიის აეროპორტს ზამთარში – 18, ხოლო ზაფხულში 50 კაცის ტევადობის თვითმფრინავის მიღება შეუძლია. მესტიაში პირველ ეტაპზე სუბსიდირებული ფრენა და ბილეთის ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. ეს იმისთვის კეთდება, რომ მესტიაში რაც შეიძლება მეტი დამსვენებელი ჩაივდეს. 4 წელიწადში სვანეთში ნახევარი მილიონი ტურისტის ჩასვლას ვეგარაუდებ“, – ბრძანა მაშინ საკუთარი სიტყვებით გამხიარულებულმა პრეზიდენტმა. ახლა კი გურიაში სოფელ მერისის აეროპორტსაც აშენებს ავადმყოფური ქინით.


ასე რომ, სააკაშვილს თუ რამდენიმე წელი კიდევ „დავაცადეთ“, რასაც უკვე

ბოშა პროფესიონალი მკითხველ-მითხორების ქინიანობით ეხვეწება ქართველ ერს, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ორი აეროპორტი მაინც გვექმნება.

შემდეგ მთავარი ამოცანა მხოლოდ ის გვექმნება, თუ სად წავიდეთ ან რაში გამოვიყენოთ ამდენი აეროპორტი, რადგან საქართველოში „ნაციონალების“ და სააკაშვილის მიერ შექმნილი არანორმალური მდგომარეობის გამოიხსნობთ უცხო ქვეყნების ტურისტები დიდად არ მოიკლავენ თავს ჩვენს გაუბედურებულ საქართველოში იუნესკოს მიერ დაცული ძეგლების სიდიდან ამოღებული „ნაციონალების“ მიერ შეწყვეტილ-გადაკეთებული სიძველეების დასათავსებლად.

მოკლედ, ამათ სიგიჟეს საერთოდ ხომ არ ჰქონდა დასასრული, ახლა შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების წაგების შიშით იმდენად არიან ატანილები, რომ სისულელეს სისულელეზე სწადაინ.

მართლაც, რა დავაშავეთ ქართველებმა ასეთი, ამ უხეივებისა და გიჟების გადამიკვებმა?



დამეთანხმებით – წარმოუდგენელია შენი სამშობლოს განუყოფელ ნაწილად სთვლიდე საქართველოს კუთხეს და არ იცოდე რა ხდება იქ, რითი სუნთქვენ და სულდგმულობენ აფხაზები, ქართველები და იქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები, რას აკეთებენ საკუთარი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რა პრობლემების წინაშე იმყოფებიან, რა უჭირთ, რა უღბინთ, რას აკეთებენ მშობლიური კუთხის ასაღორძინებლად.

თუ ვამტიკიცებთ, რომ აფხაზები ჩვენი ძმები და დები არიანო, მაშინ მუდამ უნდა გვეჭიროს ხელი მათი ქვეყნის მაჯისცემაზე, რათა არ მოვწყდეთ იმ აფხაზურ რეალობას, რასაც ესოდენ დიდი მონღოლებით ესწრაფვის საქართველოს მოღალატე არაქართული ხელისუფლება.

ვიდრე შედეგება საუბარი არჩევნების შედეგად საქართველოში მოსულ ეროვნულ ხელისუფლებასა და აფხაზეთის მთავრობას შორის, სადაც განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენ გაზეთის ყოველ ნომერში გარკვეულ ადგილს დაგუთმობთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, ამ ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ყოფას, ადამიანებს, რომლებიც შრომობენ საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

იმედია, მკითხველები და დაინტერესებული აუდიტორია თავის აზრს მოგვაწვდის გაზეთის ამ ინიციატივის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ჩვენს მომავალ საქმიანობაში.

მაშ ასე, გაზეთ "ილორს" ჩვენი მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს სპეციალური გვერდი:

“ყოველკვირული აფხაზეთიდან”

აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანკვაბმა მიიღო ევროსაბჭოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ევროსაბჭოს სამოქალაქო ოპერაციათა და სამოქალაქო დაგეგმარების სისტემის მთავარი კოორდინატორი ჰაინც იორგ ჰაბერი.

შეხვედრას ესწრებოდა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი ვალერი ბანაბა, პრემიერ-მინისტრი ლეონიდ ლაკერბაია, აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ბესლან კუბრაევა.

ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ აფხაზეთის ხელმძღვანელობის აზრი აფხაზეთში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველესად კი ევროსაბჭოს მისიის საქმიანობაზე.

ალექსანდრე ანკვაბის აზრით “საერთაშორისო ორგანიზაციები დიპლომატები და დელეგატები ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთი უკვე სულ სხვა განზომილებაში იმყოფება”. მან განაცხადა: “აფხაზეთს ამჟამად სულ სხვაგვარი მხარდაჭერა სჭირდება. ეს არ ნიშნავს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამუშაოს უგულვებელყოფას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეფექტური სამუშაოების ეტაპმა ჩაიარა. თუ ჩვენს მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვლება, ჩვენ ვერ ვხედავთ ამ ორგანიზაციათა საქმიანობის გაგრძელების აუცილებლობას აფხაზეთის ტერიტორიაზე და ვერც ამგვარი შეხვედრები იქნება სასურველი შედეგების მომტანი. ვერც

ნიეტრალური პასორტების იდეას მოვიწონებთ, რადგან იგი ჩაფიქრებული იყო აფხაზების მონაწილეობის გარეშე”.

ამასთან, ალექსანდრე ანკვაბმა გულსიტყვილით აღნიშნა, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს არ ეძლევათ ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის უფლება, მათ უარს ეუბნებიან სამედიცინო მომსახურებაზე, განათლების მიღებაზე.

“თავისი შინაარსით ეს ფაქტიურად ბლოკადას ნიშნავს ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან”, – აღნიშნა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ.

“ჩვენ მრავალ ბლოკადას გავუძელით და ამ ბლოკადასაც გავუძლებთ”, – აღნიშნა ალექსანდრე ანკვაბმა.

შეხვედრის დასასრულს ალექსანდრე ანკვაბმა განაცხადა: – “ჩვენ მშვიდად ვაგაგრძელებთ აღმშენებლობით პროცესებს არა ოკუპირებულ აფხაზეთში, როგორც ამას ევროკავშირის ქვეყნებში მიიჩნევენ, არამედ თავისუფალ, დამოუკიდებელ აფხაზეთში და ჩვენთან ყველაფერი კარგად იქნება”!

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა ალექსანდრე ანკვაბმა მიიღო ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაცია “შერიგების რესურსების” პროგრამის ხელმძღვანელი ჯონათან კოუნი და კაკასიის პროგრამის კოორდინატორი რეიჩელ კლოგი. მათ აფხაზეთის პრეზიდენტს წარუდგინეს მოკლეურობის მასალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თაობაზე, რომელიც დააფინანსა ევროკავშირმა.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება აფხაზეთთან და საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილზე საქმიანობის შედეგები.

“ჩვენ არ გავგანხიანა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან და ევროკავშირის იმ დელეგატებთან შეხვედრის სურვილი, რომლებიც მხოლოდ ქართული მხარის ინტერესებს აუღერებენ” – განაცხადა ალექსანდრე ანკვაბმა, – თუ მათ სურთ აფხაზეთთან თანამშრომლობა, მაშინ უნდა შეცვალონ ჩვენთან დამოკიდებულება და მაგალითი აიღონ რუსეთისაგან, რომელიც მხარს გვიჭერს და პრაქტიკულად გვეხმარება”.

სტუმრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი აფხაზეთში ბოლოს ყოფნის დღიდან უამრავი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. “ყოველივე ეს სინაზის მორგებელია” – აღნიშნა კოუნი.

გაზეთ “ილორს” რედაქციისაგან – ქართველი ხალხი მალე დაიხსნის თავს საძულველი “ნაციონალების” რეჟიმისაგან, რომელიც ყოველი საძარხისი მეთოდების გამოყენებით ეწინააღმდეგება ქართველი და აფხაზი ხალხების დაახლოების პროცესს და მართლაც ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი და აფხაზი ხალხი, რომელთაც ძმური თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ, აუცილებლად მოახერხებენ იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ურთიერთხელსაყრელი იქნება ორივე ერისათვის!

აფხაზეთი სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ბანაკ “სლავიანური თანადგომის” ღონისძიებაში

აფხაზი სტუდენტები აღნიშნული ღონისძიებიდან უკვე დაბრუნდნენ.

20-27 ივნისს კრასნოდარის მხარის ტუაფსეს რაიონში გაიმართა სტუდენტური საერთაშორისო ბანაკი “სლავიანური თანადგომის” რიგით მეთერთმეტე შეკრება, რომლის ორგანიზება კურსკის ოლქის ადმინისტრაციამ ითავა.

წელს ბანაკში ოთხასმა მონაწილემ მიიღო თავი რუსეთიდან, აფხაზეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, მოლდავეთიდან და ისრაელიდან. ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ალა ჩერტოვამ განმარტა, რომ მათი მიზანია ბანაკის მონაწილე ახალგაზრდობისათვის საქმიანი თანამშრომლობის პრინციპების შესწავლა და იმის შთაგონება, რომ პირადი წარმატების მიღწევაში მათი მთავარი მეკავშირე სახელმწიფოა.

– “სლავიანური თანადგომა” ის ღონისძიებაა, რომელიც ახალგაზრდა ადამიანს პირადი ინიციატივის გამოვლენისა და ხელშეწყობის პარტნიორის მონახვის საშუალებას აძლევს, რაც ხელს შეუწყობს მას განაზრახვის აღსრულებაში, – განაცხადა ქალბატონმა ალა ჩერტოვამ, – ჩვენი დევიზია: “სტუდენტური ურთიერთანამშრომლობიდან სოციალურ პარტნიორობამდე”.

ღონისძიების მონაწილეები დაუკავშირდნენ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს, რითაც ხაზი გაუსვეს იმას, რომ მათი პროექტი ბევრად სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებს. აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალისტის ელენე ღვინჯიას შეკითხვაზე, თუ როგორ გამოიყურება აფხაზეთი კოსმოსიდან, კოსმონავტებმა უპასუხეს: “იგი ყველაზე ლამაზია, ჩვენ მას ყოველთვის ვაკვირდებით კოსმოსიდან!” მიმდინარე წელს “სლავიანური თანადგომის” ფორუმს აფხაზეთიდან წარმოადგენდნენ საოპერო შემსრულებელთა იტალიის აკადემიის სტუდენტი ბატალ საკანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ინალ ხამკოგოვი, ასლან არშა და ასტანდა ლომია.

ღონისძიების მონაწილეები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ სხვადასხვა სადისკუსიო მოედნებზე. ბატალ საკანია გახდა საერთაშორისო ფესტივალ “სლავიანური თანადგომის” პრემიის ლაურეატი.

ღონისძიების ორგანიზატორებმა განმარტეს, რომ მონაწილეები ფრიად საინტერესო და საჭირობო საკითხებს მიმოიხილავდნენ. ბატალ საკანია გახდა საერთაშორისო ფესტივალ “სლავიანური თანადგომის” ლაურეატი, რომლის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათ შორის კულტურული კავშირების განმტკიცება, დაინტერესებულ ორგანიზაციათა ძალისხმევით გაერთიანება და ახალგაზრდული შემოქმედებისათვის სათანადო მხარდაჭერა.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ღონისძიება აშკარად განსხვავდება სააკაშვილის მიერ ორგანიზებულ ქართულ ახალგაზრდათა ანაკლიის თავყრილობისაგან, სადაც მიშამ ქარაფშუტულად მიუთითა გოგო-ბიჭებს ბუნებისაკენ.

აფხაზეთის რესპუბლიკის საბარემო საქმეთა სამინისტროს ბანცხაღება მერაბ ყოლბაიას ქართულ ციხეში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღშოთობას გამოთქვამს საქართველოს ციხეში გამოძვედულ აფხაზეთში მცხოვრებ მერაბ ყოლბაიასადმი არაადამიანური დამოკიდებულების გამო, რომელიც 2011 წლის 15 თებერვალს აფხაზეთის ტერიტორიიდან გაიტაცეს შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირებმა და რომლისგანაც საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მისთვის სასურველი აღიარების მიღებას. შეხვედრის გამოვლინებაა ისიც, რომ აფხაზეთიდან გატაცებისას მას ფეხები დაუხვრიტეს ტყვეით.

აფხაზეთის მხარემ აღნიშნული საკითხი არაერთჯერ დააყენა ენეების დისკუსიებსა თუ სხვა შეხვედრებზე, მაგრამ დაპატიმრებულის ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობაზე სათანადო რეაგირებას არ ახდენენ არც ქართული მხარე და არც ევროსაბჭოს დამკვირვებლები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს არ გახლავთ ქართულ ციხეებში აფხაზეთის მოსახლეობაზე არაადამიანური მოპყრობის ერთეული ფაქტი. 2010 წლის დეკემბერში ქართულმა სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს აფხაზეთის მოქალაქე გ. ჯოპუა, რომელსაც ასევე არაადამიანურად აწამებდნენ ციხეში, რასაც ადასტურებდა მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. ასევე, 2007 წლის თებერვალში, ქართულმა სპეცსამსახურებმა გაიტაცეს აფხაზეთის მოქალაქე დ. სიგუა, რომლის ბედაც დღემდე არაფერია ცნობილი.

აღნიშნული ფაქტები თავისთავად მეტყველებენ, რომ, საქართველოს მმართველი ძალები ჩირადაც არ ავდებენ ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციას და მასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ნორმებს. ქართულ და საერთაშორისო მედიაში გავრცელებული ცნობები კი ადასტურებს იმ მწარე სინამდვილეს, რომ საქართველოს ციხეებში პატიმრების წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა უკვე ნორმად არის ქცეული.

საქართველოს სამართალდამცავთა პატიმრებთან მუშაობის მეთოდთა უკვე თავისთავად აყენებს ეჭვის ქვეშ ბრალდებულთა მონაწილეობას მათდამი ინკრინინირებულ დანაშაულში.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახელდობრ პატიმართა წამების წინააღმდეგ მებრძოლ ევროპის კომიტეტს, ევროსაბჭოს კომისარს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, რომ დაგმონ პატიმართა წამების ფაქტები, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ ციხეებში და კატეგორიულად მოსთხოვონ საქართველოს ხელისუფლებას ბატონ გ. ყოლბაიას დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

აფხაზეთი საინფორმაციო საბუნტო “Regnum”-ს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებაში აღანაშაულებენ

7 ნოემბერს გავრცელებულ განცხადებაში აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო რუსეთის ახალი ამბების სააგენტო “Regnum”-ს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებაში აღანაშაულებს. განცხადება საინფორმაციო სააგენტო “აფსინპრესმა” გაავრცელა.

საქმე ეხება, “Regnum”-ის მიერ 5 ნოემბერს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს გალის რაიონის მკვიდრი, 21 წლის დანიელ წურწუშია აფხაზეთის არმიაში სამსახურზე უარის თქმის გამო მოკლეს.

აფხაზეთის მთავარი სამხედრო უწყება ამტკიცებს, რომ რუსული სააგენტოს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან საშემოდგომო გაწვევის დროს გალის რაიონიდან აფხაზეთის ჯარში არავინ გაუწვევიათ, მათ შორის არც დანიელ წურწუშია. “აფხაზეთის ჯარში მსახურობს ყველა ეროვნების წარმომადგენელი და არც ერთი მათგანი ეთნიკური კუთვნილების გამო ფიზიკურ ან მორალურ დისკრინინაციას არ განიცდის”, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორები “Regnum”-ის ინფორმაციას აფხაზეთს, როგორც “აფხაზეთის შეიარაღებული ძალების დისკრედიტაციისა და რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებისკენ მიმართულ ქმედებას”.



იოსებ სტალინი: “უს უბნური მოქმედება, მაკნებლობა”

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ფართო საზოგადოებაში ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვი ანკელოტის დონეზე მრავალი მოსახრება არსებობდა, რომელიც ი. სტალინისა და ნ. ხრუშჩოვის ურთიერთ-დამოკიდებულებას ეხებოდა. ზოგი ამბობდა, რომ ი. სტალინი ხრუშჩოვს აღარ ენდობოდა და მას მასხრად იგდებდა, თავზე ჩიბუხს აბერტყავდა. ზოგიც ამბობდა: – დაცინვით “ნიკიტაშვილს” ეძახდა. ზოგიც კი ამბობდა, რომ ხრუშჩოვმა სოფლის მეურნეობის საკითხებში ხრუშჩოვი უცოდინარობა გამოიჩინა, მგრამ სტალინიმ არ დასაჯა და აპატია როგორც უცოდინარს. ყოველივე ასეთ აზრებს ჰქონდა არსებობის უფლება. თუ გინდათ სოფლის მეურნეობის საკითხში. მაგ. 1951 წლის 4 მარტს ნ. ხრუშჩოვმა გაზეთ “პრავდაში” გამოაქვეყნა წერილი სათაურით “კოლმეურნეობებში მშენებლობისა და კეთილმოწყობის შესახებ”. აღნიშნული წერილი სტალინს იმ დღესვე წაუკითხავს და “პრავდის” რედაქციისათვის (იმ დროს პრავდის რედაქტორი იყო მ. სუსლოვი) საყვედური უთქვამს იმისათვის, რომ წერილს რატომ არ ჰქონდა განმარტება. აღნიშნულ წერილში ხრუშჩოვი მოითხოვდა სოფლების აყრას და საკეილაღურ ადგილებში დასახლებას: აგროქალაქების სახით, სადაც გლეხებისათვის აშენდებოდა მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ტრადიციულად დამკვიდრებული “სოფლის” და “სასოფლო” სახელები ხრუშჩოვის აზრით აღარ შეეფერებოდა იმდროინდელ სინამდვილეს. რა თქმა უნდა ი. სტალინი აღაშფოთა ამ უაზრო “ნაღვაწმა” და საკითხი განსახილველად გაიტანა პოლიტბიუროს სხდომაზე. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა პოლიტბიუროს ყველა წევრი. რომლებმაც მკაცრად უარყოფითად შეაფასეს ნიკიტა ხრუშჩოვის “ნამოღვაწარი”. აღნიშნულ პოლიტბიუროს სხდომას ესწრებოდა ჩვენი თანამემამულე, იმ დროს საკავშირო კომუნისტური პარტიის ინსპექტორი და შემდეგში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი ალიოშა მირცხულავა, რომელმაც ზუსტად ჩაწერა სტალინის და მოლოტოვის გამოსვლა პოლიტბიუროს სხდომაზე. რო-

გორც ზემოთ აღვნიშნე პოლიტბიუროს ყველა წევრმა უარყოფითად შეაფასა ხრუშჩოვის “ნამოღვაწარი”. მაგრამ განსაკუთრებით სიმკაცრით გამოირჩეოდა ვ. მოლოტოვის გამოსვლა, რომელმაც “ხრუშჩოვი დასახსნისათა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ელემენტარული პრინციპების არმცოდნე, სუსტი პოლიტიკური მოაზროვნე და მოითხოვა მისი სასტიკი დასჯა”. /ა. მიტცხულავა, რასაც პოლიტბიუროს წევრები და დაეთანხმნენ. მდგომარეობა შეცვალა სტალინის გამოსვლამ, რომელიც დიდი სიზუსტით აქვს ჩაწერილი ბატ. ა. მირცხულავას “თანამედროვე სოფლები – ამბობს ი. სტალინი, – რომლებიც ათეული მილიონობითაა, ასეული მილიონი ადამიანების მიერ შენდებოდა საუკუნეების განმავლობაში, საცხოვრებლად მოსახერხებელ და სასარგებლოდ ადგილებში, უმეტესად მდინარეთა გასწვრივ ან მათ ახლოს. აქვე აქვთ ხეხილის ნარგავები, ბაღ-ბოსტნები, სახლების აგებისას დაცულია ეროვნული თავისებურებანი, სტილი, ამ სოფლების გაშენება-კეთილმოწყობისთვის გაწეულია უზარმაზარი შრომა და ხარჯები, და უცებ წინადადება ყოველივე ამის დანგრევა-განადგურების, მოსახლეობის აყრის შესახებ, ეს უზნური მოქმედებაა, მაგნებლობა. რაც შეეხება “სოფლის” და “სასოფლოს” და სხვა ტერმინების შეცვლას გამოგონილი სახელებით, სრულიად გაუმართლებელია – უაზრობაა. თუ ერთი წუთითაც კი დაუშვებთ და გაეზიარებთ ხრუშჩოვის მოსაზრებას სოფლის მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ავამხედრებთ. ხრუშჩოვის ეს შეცდომა მას უცოდინარობით მოუვიდა. იგი მოიკოტლებს თეორიაში, არ აქვს შესწავლილი და ათვისებული სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, ნაკლებად ერკვევა ცხოვრების კანონზომიერებებში. მას სურდა რაიმე ახლის, კარგის შემოთავაზება, მაგრამ პირიქით გამოუვიდა.”

სტალინის შერბილებული გამოსვლა პოლიტბიურომ მიიღო და გაქნილი, თაღლით ხრუშჩოვი ამჯერადაც გადაურჩა დამსახურებულ სასჯელს. მაშინ ცეკას პოლიტბიუროს მართებული გადაწყვეტილება რომ მიეღო და ხრუშჩოვი ჩამოე-

ცილებინა პარტიულ ხელმძღვანელობისათვის, დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა. პოლიტბიუროს ამ შეცდომის შედეგად, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ ავეია “ხელმძღვანელმა” ხელში ჩაიგდო პირველი კაცის თანამდებობა პარტიულ იერარქიაში, გამოიყენა იგი პირადი ანგარიშსწორებისათვის, შემდეგ კი მთელი სისასტიკით შეეხო ქართველებს, განსაკუთრებით იოსებ სტალინს და ლავრენტი ბერიას. როგორც დღეს ირკვევა ამ ორი ბუმბერაზი პოლიტიკოსის მხრებზე იდგა მთელი საბჭოთა კავშირის ძლიერება. ამის ნათელი დადასტურებაა სერგეი კრემლიოვის სქელტანიანი წიგნი-გამოკვლევა “ზაირა მამ-20 საშუაზის საშემთქმ მინა-ჯერი”. რომელიც თარგმნა ბატ. როლანდი ჯალალანიამ და იბეჭდება გაზეთ “ილორში” ყოველკვირეულ გამოცემაში. დასტამბულ წიგნს მალე იხილავს ქართველი მკითხველი.

საქართველოს სიძულვილი ძილშიც კი არ აძლევდა მოხვეწებას ბოროტების განსახიერება ნიკიტაშვილს ხრუშჩოვს – სტალინის გარდაცვალების და ბერიას დაპატიმრების შემდეგ უშუალოდ ხრუშჩოვის განკარგულებით შეჩერდა ქალაქ გორის რკინიგზის სადგურის მშენებლობა, ქუთაისის-წყალტუბოს საავტომობილო გზის მშენებლობა, უშუალოდ ბატონ ალიოშა მიცხულავას დაავალა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს მიეღო გადაწყვეტილება და შეჩერებინათ მეტროს მშენებლობა თბილისში. მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ავეია ნიკიტაშვილს მოთხოვნა – შეჩერებინათ მეტროს მშენებლობა, არ მიიღეს. მაგრამ ხრუშჩოვმა მაინც მიიღო გადაწყვეტილება და მოაწერა ხელი თბილისში მეტროს მშენებლობის შეჩერებას. მაშინდელი თბილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი გეგეშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტროს მშენებლობა არ შეჩერებულა. იგი ჩუმად მაინც შენდებოდა.

არამზად ნიკიტაშვილს შესახებ ბატონი ალიოშა მირცხულავა წერს “იგი (ე.ი. ნიკიტა ხრუშჩოვი – ლ.პ.) შეხვედრისას გაღიზიანებული ხშირ-ხშირად გაიძახოდა თქვენ ქართველები განებეზრებული ხართ,

ამაში ბუნებაც გიწვობთ ხელს, ამიტომ შეგიცვლით ადგილ-მდებარეობას ჩრდილოეთში მდებარეობით”, “თქვენ რად გინდათ მეტრო, რომელიც ბერიას ახირება იყო” და ა.შ. აი, ასეთ ხეპრე, გაუნათლებელ პიროვნებასთან ჰქონდა ურთიერთობა საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას. დღეს კი ჩვენი ხელმძღვანელობა ხრუშჩოვის “თეორიებით” მოქმედებს. ანგრევენ ყველაფერს; აფერუმ მათ ქართველობას მათი “ნაღვაწი” არქივების კუთვნილებათა, მომავალი თაობა გამოამხურებს მათ “ნაღვაწს”, გააცნობენ მათ საკუთარ შეილებს და შეილიშვილებს, რომლებსაც გაუჭირდება პასუხის გაცემა. ყველაფერი ხომ გაანადგურეს, ბელადის ერთადერთი ძეგლი იყო დარჩენილი ქ. გორში და ისიც დამით, ქურდულად მოხსნეს, რომელსაც თვით ხრუშჩოვი ვერ შეეხო და წაიღეს და გადაამალეს ქალაქგარეთ: ბარამიძეებმა, თუთბერიძეებმა, წიკლაურებმა, თავხელიძეებმა და მათთანა ვივინდარებმა და აღასრულეს თავიანთი სულიერი წინაპრის ნიკიტაშვილს ხრუშჩოვის ოცნება.

მინაწერი – ლენინგრადის – დღევანდელი პეტერბურგის რეკონსტრუქციის დროს თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება მოეხსნათ პეტრე-1 და ნიკოლოზ-2 ძეგლები. სხდომა მიმდინარეობდა პოლიტბიუროში, აღნიშნულ წინადადებას ი. სტალინი აღუშფოთებია. მაგინდახე დაუჭრტყამს ხელი და კომისიის თავმჯდომარისათვის შემდეგი სიტყვები უთქვამს: “პეტრე-1 და ნიკოლოზ-2 ძეგლებს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის ხელოვნების ნიმუში და ასე უნდა დარჩეს მომავალ თაობას”. ლენინგრადის ბლოკადის დროს სტალინის განკარგულებით აღნიშნული ძეგლები ქვიშიანი ტომრებით იქნა დაფარული, რომ არ დაეზიანებინა ფაშისტური ბომბების ნამსხვრევებს. ასე უფრთხილდებოდა დიდი ბელადი ისტორიულ ღირებულებებს.

ახლა თავად მკითხველმა გადაწყვიტოს – ვინ არის დიქტატორი? ი. სტალინი თუ ეს უღლეურები.

პასუხი მკიხველისათვის მიგვიწვია.

ლეონტი ბიწაზე
ინჟინერ-ეკონომისტი

“ქუთაისში 3000 ჩინელის ჩასახლება იგეგმება”

საქართველოს აშკარად არაქართული ხელისუფლება ახალ “სიურპრიზს” უმზადებს ქვეყნის მეორე დედაქალაქად გამოცხადებული პოლისის მოსახლეობას – ქუთაისში 3000 ჩინელის ჩასახლება იგეგმება და მათთვის ავტოქარხნის ტერიტორიაზე სპეციალური საცხოვრებელი ფართი შენდება. ამის შესახებ პარტია “თავისუფალი საქართველოს” რეგიონალური განვითარების უფროსმა გოგი წულაიამ განაცხადა.

ასევე, ამავე ტერიტორიაზე შენდება ჩინური საავტორო ცენტრი. როგორც წულისა ამბობს, რაც ხდება, ძალიან სახიფათოა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და თუ გადავითვალისწინებთ ქართველებისა და ჩინელების გამრავლების კოეფიციენტს, ქუთაისი რამდენიმე წელიწადში შეიძლება ჩინეთს დაემსგავსოს.

ბობი წულაია:
“მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ქუთაისში 3000 ჩინელი ჩასახლებას აპირებენ. კერძოდ, ავტოქარხნის ტერიტორიაზე შენდება საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც 3000 ადამიანზეა გათვლილი.

ასევე ვიცი, რომ ამავე ტერიტორიაზე აშენებენ უზარმაზარ ჩინურ სამრეწველო ბაზარს. ის სიდიდით ქუთაისის ყველა სამრეწველო დაწესებულებაზე დიდი იქნება, რაც, ბუნებრივია, უდიდეს დარტყმას მიყენებს სამრეწველო ინდუსტრიაში დასაქმებულ ადგილობრივებს.

იქ მუშაობენ ჩემი ახლობლები და მათგან მაქვს ინფორმაცია, რომ ამ მშენებლობას ჩინელები აფინანსებენ და ბუნებრივია, ჩინელები სხვისთვის არაფერს გააკეთებენ. საცხოვრებელი კომპლექსი გათვლილია 3000 კაცზე, რაც ძალიან დიდი ციფრია.

ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ ქუთაისში ქურთების რაოდენობა 1000-მდე გაიზარდა. ისინი თურქეთიდან გამოაძევეს და ახლა

დიდ პრობლემებს უქმნიან ადგილობრივ, ქუთაისელ მოსახლეობას – ყველა მათგანი მათხოვრობით არის დაკავებული, თუმცა იმას, რასაც ისინი აკეთებენ, უფრო ყაჩაღობა ჰქვია.

მოსახლეობაში ძალიან ცუდი განწყობაა – თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ხელისუფლების მტრულ დამოკიდებულებას ყოველივე ქართული მიმართ, სავარაუდოა, რომ ჩინელების ჩამოსახლება მათი კიდევ ერთი ვერაგული ჩანაფიქრის აღსრულებას ნიშნავს.

მაქვს ინფორმაცია, რომ ხარაგაულში დამკვიდრებულმა ჩინელებმა ქართული გვარები მიიღეს. ისინი მთელ დასავლეთ საქართველოში ხეტუის პატრონები არიან. დაუნდობლად ანადგურებენ ასწლოვან ხეებს და ამაზე სახელმწიფო თვალს ხუჭავს. მათ არანაირი ჯარიმა და სანქცია არ ეეისრებათ ამის გამო. ისედაც გაჭირვებულ ადგილობრივ მოსახლეობას კი ტყეში შესვლას და საჭმელ სოკოს მიეროვებასაც კი კატეგორიულად უკრძალავენ. საუბარი აღარაა ტყიდან თუნდაც ფიჩხის ან ნარიყის გამოტანაზე, რისთვისაც ქართველებს ძალიან დიდი თანხით აჯარიმებენ. ჩინელები კი ჩეხავენ ჩვენს ხეტუებს და ამას არაფერს აკონტროლებს”.

ქურნალისტები კოალიცია “ქართული ოცნების” ქუთაისის შტაბის პრესამსახურის უფროსს, გია ქობალიანსაც ესაუბრნენ ამ თემასთან დაკავშირებით.

ბიბ ქობალიანი:
“არ ვიცი, კონკრეტულად რა იგეგმება, მაგრამ ფაქტია, რომ ავტოქარხნის ტერიტორია ჩინელებითაა სავსე. აქ შემოსახლდურულია გარკვეული ადგილი, გაკეთებულია ჩინური წარწერები და, სავარაუდოდ, იქ ჩინელები ცხოვრობენ”.

კოალიცია “ქართული ოცნების” ქუთაისის შტაბის ხელმძღვანელმა ზაზა მეთაფლიშვილმა კი თქვა: “აქ უამრავი

ჩინელია, ყოველდღიურად იზრდება მათი რაოდენობა. საღამოს შეიძლება ოთხი შევიდეს და დილით რვა გამოვიდეს, ეს ძალიან დიდი პრობლემაა და, სამწუხაროდ, არავინ არაფერს ამბობს”.

ქუთაისის მერიის პრესამსახურის უფროსი ქეთი დეისაძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ამართლად მიმდინარეობს მშენებლობა და მას ჩინური და ეგვიპტური კომპანიები ახორციელებენ, თუმცა მისი თქმით, მერია არ ფლობს ინფორმაციას იქ ჩინელების ჩასახლების შესახებ.

მამიქ ღვინაძე:
“ჩემი არ ვფლობთ ინფორმაციას ჩინელების ჩამოსახლების შესახებ. რაც შეეხება ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს, ეს არის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სამუშაოებს ჩინური და ეგვიპტური კომპანიები ახორციელებენ”.


დემოგრაფი ანზორ თოთაძე ამბობს, რომ თუ 3000 ჩინელი ქუთაისში მართლა ჩასახლეს, ეს უბედურების გარდა ქართველებს არაფერს მოუტანს.

ანზორ თოთაძე:
“ამის შესახებ ჯერ არ გამიგია და არ ვფლობ ინფორმაციას, მაგრამ თუ ქუთაისში 3000 ჩინელი ჩასახლეს, ეს უბედურების გარდა ქართველებს არაფერს მოუტანს. ყოველივე ძალიან ცუდად მენიშნა, რადგანაც შარშან პრეზიდენტმა აღნიშნა – ქუთაისში 500 000-მა ადამიანმა უნდა იცხოვროსო. ამჟამად ამ ქალაქში 194 000 კაცი ცხოვრობს.

არ უნდა დაგვაგიწვედეს, რომ ლაზიკასაც გაშენებთ. ასევე რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა თქვა, რომ ბათუმში 450 000-მა ადამიანმა უნდა იცხოვროს. ჩვენ არ გვაქვს ადამიანური რესურსი იმისა, რომ ეს ქალაქები ასე გაიზარდოს მოსახლეობით. სოფლის მოსახლეობა რომ ავეაროთ



ნ. გარდონიანიძე



ბერიას XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალანიასი

სახბიო ხელოვნება

ლობაში, მილიანად უარყოფდა ბერიას დროის შინაგარეული სისტემაში პატიმრებს ძალადობისა და მათი წამების ფაქტებს. თუმცა, იმასაც აღიარებდა, რომ, იყო შემთხვევები, როცა ზოგ გამოძიებულს ნერვები დაეკარგა.

მე ამ, თუნდაც მეორე პირის მონათხრობების უფრო მეტად, ვიდრე სულოპლატონის მიერ დანახულის და მოსმენილისა. ტყუილად კი არ მოხდა, რომ გამოცემულა **“ოლმა-პრესმა”**, რომელმაც დასტავა სულოპლატონის მოვლენები, სახეაწილი მიუთითა, რომ **“გამომგონებლობა პასუხის ვარაუდის სისტემის მიერ მოგზავნილი არაპატიმრების მიმართ”**.

სხვათა შორის, კ. ხალესის წიგნში მე ამოვიკითხე ფრაზა, რომელიც უშიშროების მინისტრად დანიშნისას წარმოსთქვა იგნატიევმა: **“უნდა მოვიხსნათ თეთრი ხელთათმანები და გარკვეული სიფრთხილით უნდა ვცემოდნო ხელმე ბრადლებულები”**. **“დემოკრატიული”** ორიენტაციის მქონე ხალესის აშკარად არ სჭირდებოდა იგნატიევის სახელისათვის ჩირქის მოცემა. ამრიგად, გამოდის, რომ იგნატიევის წინამორბედ აბაკუმოვის უშიშროების სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებს **“თეთრი ხელთათმანები”** თუ არ ეკეთათ, ყოველი შემთხვევისათვის, არც **“ეყოფის ხელთათმანებით”** იყვნენ აღჭურვულნი.

გუბერნდები რა აბაკუმოვს, ვსვამ შეკითხვას: **“აბაკუმოვს რომ ბერიასთან ერთად 1939-1940 წელს ძელები ემტერია პატიმრებისათვის, 1952 წელს გაგზავნილ წერტილში განა დაწერა – “ასეთი მხეცობა არასოდეს მინახია?”**.

ვფიქრობ – არა!
იმ ეპოქის საუკუნო სიზუსტით აღმწერი წიგნების ავტორი კირილე სტოლიაროვი აბაკუმოვის მიერ ბერიასა და მალენკოვისადმი წერილის გაგზავნას შემდეგი გარემოებით ხსნის: სწორედ მათ გადაწყვიტეს აბაკუმოვის ბედი, რადგან სტალინის მიერ სპეციალურ კომისიაში შედიოდნენ, რომელიც უშიშროების სამინისტროს სისტემას ამოწმებდა. ამ კომისიაში მათ გარდა შედიოდნენ შკირიატოვი და იგნატიევი. სტოლიაროვი ამტკიცებს, რომ ეს ორი უკანასკნელი სათაბირო ხმით იყვნენ უფლებამოსილები, ბერიას და მალენკოვს კი გადაამწყვეტენ ხმის უფლება ჰქონდათ. მითი ახრით სწორედ ბერიამ და მალენკოვმა **“ჩაუშვეს”** აბაკუმოვი. მაგრამ, რაც შეეხება **“სათაბირო ხმას”**, ამაზე პოლიტბიუროს 4 ივლისის დადგენილებაში (პუნქტი 404, **“როუმინის განცხადება”**) არაფერია ნათქვამი, მალენკოვის კომისიის ყველა წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობდა და ყველამ მისცა ხმა აბაკუმოვის სამსახურიდან განთავისუფლებას. ამასთან, ირკვევა, რომ აბაკუმოვის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს სწორედ იგნატიევი ხელართავდა და ისიც არა მხოლოდ საკუთარი ინიციატივით. ბერია კი, არა მხოლოდ არ იყო **“უძლიერესი”**, არამედ უშიშროების სამინისტროს საქმეებში იყო მხოლოდ მესამეხარისხოვანი ფიგურა (სტალინისა და მალენკოვის შემდეგ).

სტოლიაროვი აცხადებს: აბაკუმოვმა ბერიას და მალენკოვს მიმართა, იმდენად, რამდენადც თვლიდა: **“ვინც დამდუბა, იმანვე გადამარჩინოსო”**. მართლაც **“დამაჯერებელი”** მოტივაციაა, განსაკუთრებით ბერიას ხაზით. შემდეგ კი სტოლიაროვი აღნიშნავს, რომ აბაკუმოვის კაბინეტის ჩხრეკისას ამოიღეს მაკომპრომენტრებული მასალები სწორედ ბერიასა და მალენკოვზე. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, განცხადებით მიმართავდა კი მათ აბაკუმოვი?

მე არა მაქვს **“ბერია-აბაკუმოვის”** ხაზის დეტალური ანალიზის გაკეთების საშუალება, მაგრამ იგივე სტოლიაროვის მონათხრობიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბერიას არ ეჯერა აბაკუმოვის დანაშაულობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბრუნებისთანავე არ გამოუშვა ციხიდან იმიტომ, რომ საკითხის შესწავლას საკამოდლო სჭირდებოდა.

მაგრამ რიუმინი, რომელიც 1952 წლის ნოემბრამდე იგნატიევის მოადგილე იყო, ბერიამ 1953 წლის 17 მარტს დააპატიმრა

– შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნისთანავე. ვფიქრობ, ბერია რომ ხელისუფლების სათავეში მოსულიყო, აბაკუმოვი იცოცხლებდა და კვლავც გააგრძელებდა მუშაობას, მაგრამ იგი 1954 წლის დეკემბერში დახრიტეს, რითაც კიდევ უფრო ფართოდ გაეხსნათ გზა უდიდესი სოციალისტური ქვეყნის დამანგრეველებს.

იმის თაობაზე, თუ როგორი მდგომარეობა სუფევდა ბერიას შინაგარეულში, სინამდვილეში, დამაჯერებელია აღწერილი ეპიკურა კეგელის წიგნში **“ჩვენი ეპოქის ქარიშხლები”**. წიგნი დაწერილია მშრალად, მაგრამ მოგვითხრობს იმ ადამიანის ბედზე, რომელზეც ამაღლებული სერიოზულობის გადაღება შეიძლება. კეგელი დაიბადა 1907 წელს, გერმანიის კომპარტიის წევრი გახდა 1931 წელს, იყო სსრკ თავდაცვის სამინისტროს მოავარი სადაზვერუო სამმართველოს აგენტი, მეტსახელად **“კურტი”**, 1933 წლიდან 1943 წლამდე იყო რეიხის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 1939 წლიდან 1941 წლის 22 ივნისამდე იყო მოსკოვში გერმანიის საელჩოს საავტო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე. 1943 წელს კეგელი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მსახურობდა დასავლეთის ფრონტზე, შემდეგ გადაისროლეს აღმოსავლეთის ფრონტზე, 1945 წლის იანვარში გადავიდა საბჭოთა ჯარების მხარეს და მოხვდა საბჭოთა სამხედრო ტყვეთა ბანაკის გადაწყვეტილებით.

მას ანტიფაშისტური აზროვნება ეძებდნენ შინაგარეულ მეშვეობით და 1945 წლის მარტში კეგელს ქალი ოფიცრისა და ცემბორელი ზემდევის თანხლებით ლოძიდან აგზავნიან მოსკოვში, კიევის გავლით. იქ თანხლები პირები კეგელს ხელწერილით აბარებენ ლიუბიანკას. შემდეგ უკვე გახდენ ტექსტის ციტირებას:

“კარგი სიურპრიზი კია, გავიფიქრე მე მოსკოვის შეხვედრა მე სხვაგვარად წარმოემდგინა. მაგრამ, ვინაიდან სუფთა სინდისი მქონდა და ვვარაუდობდი, რომ მალე ყველაფერი გაირკვეოდა, ჩინებულ ხასიათზე ვიყავი”.

მისაღებში ვიჯექი და ველოდი. დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაიწყო ჩემი მიღების პროცედურა. მე ჩამომართვეს დანა, სამართლებელი, ქაბაზა და კოეზი და სხვა ქონება. შემდეგ აბანოში წამოყვანეს, ტანსაცმელი კი სადღეისო ფეხსაცმელი და, აი, ბოლოს კამერაში აღმოვინდი.

ეს იყო დაახლოებით 9-კვადრატულმეტრიანი ოთახი. რკინის ორი ვიწრო მარტრაცია და საბინო გაწვობილი საწოლი იდგა, სკამი და, რა თქმა უნდა, უნიტაზი. კამერაში უკვე იმყოფებოდა სამხედრო-ფორმისანი მამაკაცი... გამეცნო როგორც რუმინელი, პატიმარი...

მეორე დღეს სამედიცინო პუნქტში გამომიბარეს. ექიმმა ყურადღებით გამისინჯა, ზურგის ნაჭრისებობაზე მალამო წამისვა და ფეხი დამიმუშავა, რომელიც დამირქებოდა. მესამე დღეს კამერაში შემოვიდა ბიბლიოთეკარი და ჩაიწერა, თუ რომელი წიგნის წაითხვას მოვიხურებდი... და ა.შ. ეპიკურა კეგელი ყოველთვის ამას ძალზე მშვიდად ხვდებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ უდანაშაულო იყო. იგი შემდეგ იკონებდა:

“იმდენად, რამდენადც დაწესებულებაში, სადაც მე ვიმყოფებოდი, არაფერი იცოდნენ ჩემი კავშირების შესახებ წითელ არმიასთან, ჩემს ჩვენებებს, რა თქმა უნდა, სათანადო შემოწმების გარეშე ვერ ენდობოდნენ”.

შემოწმება კი, რომელიც დაკითხვებსაც მოიცავდა, მეტად კორექტულად მიმდინარეობდა და იგი დამთავრდა 1945 წლის 9 მაისს. კეგელს დაუბრუნეს ნდობა, თავისუფლება, ნაცვებს ახალი ტანსაცმელი და ჩაასახლეს მოსკოვის ბინაში. 1945 წლის 20 ივნისს იგი უკვე ბერლინში იყო.

ქვირფასო მიკითხველი! ვიდრე კეგელს ამოწმებდნენ, იგი ეჭვმიტანილი იყო და მის მიმართ არ შეიძლებოდა გამოეჩინათ განსაკუთრებული ყურადღება, მისადმი დამოკიდებულება გახლდათ სტანდარტული.

მკითხველი, რომელიც გაცნობილია მოავარი სადაზვერუო სამმართველოს მეო-

რე აგენტის – ლეოპოლდ ტროპერის შემუარებას, შეიძლება შემეწინააღმდეგოს, რომ მისი გადმოცემით ყველაფერი სხვაგვარად იყო. მაგრამ ტროპერის წიგნი გაჯერებულია ინსინუაციებით. მისი წიგნის მიხედვით აბაკუმოვს აპატიმრებენ მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს ბერია, როდესაც ბერია იყო ცეკას მდივანი და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ტროპერის წიგნიდანაც შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანის ამოღება. არა, იგი შორს არ მიდის იმ აზრისაკენ, რომ ბერია **“ჯალათი”** იყო და საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება დარწმუნდეს, რომ ბერიას შინაგარეული და ლიუბიანკის კამერა, რომელიც ტროპერი იჯდა, ერთმანეთთან მჭიდროდ გახლდათ დაკავშირებული.

მაგრამ, აი, ტროპერის მიერ გადმოცემული ქრონოლოგია. მისი პარიზში დაპატიმრების ბნელი ისტორიისა და გესტაპოდან გაქცევის შემდეგ, 1945 წლის 5 იანვარს იგი მიფრინავს მოსკოვში და მას მალე ათავსებენ ლიუბიანკის შინაგან ციხეში.

სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილებაა – ტროპერის თავს გადამხდარი ამბების შემდეგ იგი მრავალჯერ უნდა შემოწმდეს. ამასთან, შემოწმების რეჟიმი სულაც არ არის მკაცრი. ეს გახლავთ ბერიას შინაგარეული (ან ბერიას **“კადრის”** მერკულოვის უშიშროების სამინისტრო).

1946 წლის დანაშაულის ტრეპერი გადაჰყავთ ლეფორტოვს ციხეში, სადაც მან მკაცრ რეჟიმში გაატარა თითქმის ერთი წელიწადი. მაგრამ ეს უკვე არის აბაკუმოვის უშიშროების სამინისტრო, 1951 წლის ივლისიდან კი – იგნატიევის სამინისტრო. ამასთან, ტროპერს ყველაზე მკაცრად ეპყრობოდნენ იგნატიევის დროს.

დადგა 1953 წლის მარტი და მოულოდნელად ტროპერს სთავაზობენ, რომ დაწეროს პატიების თხოვნა **“სამეულის”** მიერ გამოტანილი განაწინის თაობაზე. და იგი წერს განცხადებას... სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრ ლავრენტი ბერიას სახელზე.

კეგელისაგან განსხვავებით, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე კომუნისტად დარჩა, ტრეპერმა დაამთავრა იმით, რომ სიონისტად გადაიქცა. ტყუილად ეს არაკაცი, მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი ბერიას კეთილშობილებას ვერც მან აუარა გვერდი.

გუბერნდები რა **“სანჯიანის საგას”**, რომ ასევე შეიძლება **“ჯალათი”** ლავრენტი ბერიაზე შეთხზული სხვა **“საგების”** ანალიზიც. მაგრამ ეს გამოვიდოდა უკვე სულ სხვა წიგნი – მაგრამ არა ლავრენტი ბერიაზე, არამედ მის ცილისმწამებლებზე. ვიმედოვნებ, რომ მე საკმარის დიდი ადგილი დავუთმე ბერიას **“დანაშაულებს”**, რათა აქ დაესვა წერტილი და ახლა ვისაუბრო იმ დანაშაულებზე, რომელიც ჩაიღინა ხრუშჩოვმა ბერიას მოკვლის შემდეგ და რამაც სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის სიკვდილს.

თავი 30
XX მრელობის კურსი...

როცა 1946 წელს საროვსკის ყოფილი უდაბნოს ტერიტორიაზე დაიწყო ბირთვული იარაღის შექმნის პირველი საბჭოთა ცენტრი, ახლად შექმნილი ქალაქის პირველ ფართო პროსპექტს ეწოდა სტალინის სახელი.

ახლა იგი მშვიდობის პროსპექტია. მშვიდობისა და ლენინის პროსპექტების გადაკვეთასთან ახლოს, ყოფილი მონასტრის სამრეკლოსთან, რომელზე დღესაც დგას სტალინის ეპოქაში აშენებული ორსართულიანი სახლები, მდებარეობს გაგარი-ნის ქუჩა, რომელსაც კვეთს ბოროვიაის ქუჩა. იქვე მდებარეობს კრემლის ქუჩაც, რომელსაც 1953 წლის ივნისამდე ბერიას სახელი ეწოდებოდა.

მე არ ვიცი – შემთხვევითობაა თუ არა ამ ქუჩის ძველი და ახალი სახელწოდებების თანახმიანობა – ბერია – ბოროვიაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათ, ვინც სახელი შეუცვალეს ამ ქუჩას, არ უნდოდათ ლავრენტი ბერიას ხსოვნისათვის საშუალოდ მიწის მიყრა. ატომურ ობიექტებზე ხომ ბერიას დიდ პატივს სცემდნენ არა მხოლოდ როგორც ხელმძღვანელს, არამედ, როგორც ადამიანსაც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

არნო ხიღირბაიშვილი: „მერაბიშვილის წასვლა ივანიშვილის პირველი დაპირების შესრულებას ნიშნავს!“

საქართველოში ბოლოდროინდელი მთავარი მოვლენების შესახებ გაზეთ „ილორის“ კორესპონდენტი საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორს არნო ხიღირბაიშვილს ესაუბრება.

– ბატონო არნო, გამართლდა თქვენი მორიგი პროგნოზი, რომელიც 2012 წლის 30 აპრილს გამოთქმით პუბლიკაციაში „Звенит звонок, пора расстаться“ – მერაბიშვილი მიდის ივანიშვილთან, თუ პრემიერ-მინისტრად? ზუსტად 2 თვის შემდეგ – 2012 წლის 30 ივნისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა შს მინისტრი მერაბიშვილი მართლაც პრემიერ-მინისტრად დანიშნა, რაც სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ფართო საზოგადოებრიობისთვის, მათ შორის – ჩვენი გათვითცნობიერებული „ჯიბის“ ექსპერტებისა და ჟურნალისტებისთვისაც კი.

– ბოლო 9 წლის განმავლობაში ტელევიზიით თუ ბეჭდური მედიით ყოველდღე ვიკვებ, რა სისულელეებს წმახვევენ ჩვენი თვითმარქვია „პოლიტოლოგები“, რომელთა არცერთი პროგნოზი დღემდე არ გამართლებულა. მათი სახელების დამახსოვრებით თავს არ ვიწუხებ, მალე მათ ისევაც ყველა დაივიწყებს. მხოლოდ ცინცაპის გვარი მახსოვს, ისიც იმიტომ, რომ მის პრიმიტიულ ბოდვას, ჩვეულებრივ, სასაცილო მიმიკა ახლავს თან. არადა, პოლიტიკაში, როგორც ცხოვრებაში, ისეთივე კანონები და პრინციპები მოქმედებს, რომელთა შეცვლა არავის ძალუძს. ის, ვინც თანდაყოლილი დებულებების, გაუნათლებლობის, ანდა გაყვითლი ანგაურიზებული ბუნების გამო ბუნების, არსის წინააღმდეგ მიდის, რომელიც დევიზობრუნულია, ადრე თუ გვიან აუცილებლად მარცხს განიცდის. მაგალითად, როდესაც ვამბობ, რომ საქართველო რუსეთთან უნდა იყოს, ამავე დროს ვხსნი – რატომ, და არა იმის გამო, რომ გერცენი მიყვარს, ხოლო გერშინი – არა. სულაც არა, ამერიკის მიმართ არანაირ პათოლოგიურ სიძულვილს არ ვგრძნობ, უბრალოდ, არსებობს ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული და, ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური წინაპირობები, რომელთა წინააღმდეგ წასვლა სისულელეა, რომელიც ჩვენსავე საზიანოდ გვიბრუნდება.

ამგვარი სისულელის თვალსაჩინო მაგალითია ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა თბილისში. არადა, რამდენიმე დღის წინ – 2012 წლის 26 ივნისს, პუტინის ვიზიტის დროს ისრაელში, წმინდა აღთქმულ მიწაზე, იესოს სამშობლოში, ბეთლემში – ქალაქში, სადაც 2012 წლის წინ მაცხოვარი დაიბადა, იესო ქრისტეს სახელობის ქუჩას ვლადიმერ პუტინის ქუჩა დაარქვეს. როგორც რომა უნდა იყო, რომ ამის შემდეგც ვერ დანახო – ამ ორი ქუჩიდან ტადრამდე რომელი მიდის – ბუშის ქუჩა, თუ პუტინის! სხვათაშორის, უცნაურია, რომ ამის შემდეგ სააკაშვილმა ისრაელი და პალესტინა რუსი ოკუპანტების ხელისშემწყობებად და კრემლის მარიონეტებად არ გამოაცხადა...

– თბილისში ბუშის ქუჩის გარდა, რეიგანის ძეგლიც არის, ხოლო ბათუმში რამდენიმე დღის წინ ცენტრალურ გამზირს არაბი შეიხის ნაპაიან მუხარაჟ ალ ნაპაიანის სახელი ეწოდა... საქართველო ამერიკასთან მეგობრობს – და თავისი ტერიტორიის 20% დაკარგა, სომხეთი რუსეთთან მეგობრობს – და დაახლოებით ამდენივე ტერიტორია აზერბაიჯანს წაართვა... ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა კანონებითა და პრინციპებით შეიძლება მერაბიშვილის პრემიერად გადაყვანის წინასწარ გამოცნობა და რატომ მიგანიათ, რომ ამით დღევანდელი ხელისუფლებისთვის „ზარი დაირეკა“?

– ჩემს ა.წ. 30 აპრილს პუბლიკაციაში, რომელმაც თავისი წინასწარმეტყველებით გაგოცათა, კერძოდ, ვწერ: „ნებისმიერმა, ვინც მინიმალურად მაინც იცნობს საქართველოს უახლეს ისტორიას და ნაციონალური პოლიტიკური სამზარეულოს თავისებურებებს, იცის, რომ როცა საქართვე-

ლოს შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს საკუთარ განსაკუთრებულობასა და ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე თავის უპირატესობაზე, ეს დასასრულის დასაწყისს ნიშნავს – ხელისუფლება ამისათვის მას უშვებს, თუმცა მალე თავადაც კვლავაველი მიჰყვება! შევარდნაძის ხანის შს მინისტრ კახა თარგამაძის ცნობილ განცხადებას – „მე რკინის ვარ, რკინის კაცი!“ – მოჰყვა მისი გადადგომა, რომელიც აწ გარდაცვლილი პრემიერის, შვანიას, მიერ იყო პროვოცირებული. მალე კი შევარდნაძის ხელისუფლების აღსასრული დადგა...“

რა მოჰყვება საქართველოს შს მინისტრის – ვანო მერაბიშვილის, განცხადებას, რომელმაც ა.წ. 27 აპრილს პარლამენტში განაცხადა, რომ ქართულ პოლიციას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე მმართველ პარტია „ნაციონალისტს“? ამის გამოსაცნობად შემდეგი უნდა გაეთვალისწინოთ:

– მერაბიშვილი სააკაშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო „გარდების რევოლუციიდან“, ხოლო შემდეგ, თავად სააკაშვილის სიტყვებით, „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხერხემალი“, ანუ რეჟიმის მთავარი საყრდენი გახდა, რომელმაც „ნაციონალისტები“ თანაპარტიელების ყველა სისხლისსამართლებრივი დანაშაული იცის, რომელთაგან ბევრი რამდენიმე სამუდამო პატიმრობის ღირსია;

– მერაბიშვილს დეპუტატთა შეკითხვებზე პასუხისას შეეძლო, მარტოოდენ შს მინისტრის კომპეტენციით შემოფარგულიყო, თუმცა განზრახ გააფართოვა თავისი არეალი და თავს პოლიტიკური და ეკონომიკური სენტენციების უფლება მისცა, რაც პრემიერ-მინისტრის გამოსვლას უფრო შეეფერება. ხოლო როცა ძალოვანი სექსამსახურების მინისტრი (და არა ეკონომიკის ანდა ფინანსთა!) საპარლამენტო ტრიბუნლიდან აცხადებს, რომ ფულს სუნი არ უდის და იგი მიესალმება რუსული ინვესტიციების გაზრდას – რფ-ის სახელმწიფო კაპიტალის შემოდინებას საქართველოში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ წინაშე უკვე ქვეყნის მთავარი პოლიციელი კი არა, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებებით აღჭურვილი ან შემდგომში ამ უფლებამოსილებებზე პრეტენზიის მქონე ადამიანია;

– ვანო ერთდერთი იყო მიშას უახლოესი გარემოცვიდან, ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა 08.08.08 ავანტიურას, აგრეთვე, დაახლოებული იყო მილიარდერ ივანიშვილთან, რომელიც, როგორც მისი ინტერვიუდან ვიკვებ, პატივს სცემს მერაბიშვილს, როგორც ნიჭიერ პროფესიონალსა და მენეჯერს, და ერთხელ იმ გადაწყვეტილებისგანაც კი იხსნა, რომელიც სააკაშვილი უმზადდებდა. აღსანიშნავია, რომ ერთმანეთის მისამართით ივანიშვილსა და მერაბიშვილს ჯერჯერობით არცერთი მკვახე სიტყვა არ უთქვამთ.

მაგრამ... მერაბიშვილმა, როგორც ყოველმა რეჟიმმა ქართველმა პოლიციელმა, ჩინებულად იცის შემდეგი: დიახ, საქართველოში არ კეტავენ ავტომანქანებს, არ იპარავენ მობილურებს და პოლიციელივე ქრთამს არ იღებენ, მაგრამ საქართველოს პოლიცია არასოდეს დაუპირისპირდება მოქმედი ხელისუფლების ინტერესებს, რომელმაც კანონიერი ქურდები კი მოსპო, მაგრამ მათი ქურდული მენტალიტეტი გადაიღო! საქართველოში პოლიცია, ისევე, როგორც სასამართლოები, პოლიტიზებულია – ის მუდამ „თავისიანებს“ ანიჭებს უპირატესობას და ითვალისწინებს სამართალდამრღვევის პირდაპირ ან ირიბ კავშირს ხელისუფლებასთან. ქართული პოლიცია ხშირად ხელმძღვანელობს არა კანონით, არამედ უფროსების კონკრეტული მითითებებით, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინსტრუქციებით მოქმედებენ.

სწორედ ამაშია კოლიზია: აბსოლუტურად არ არის გამორიცხებული, რომ ეს ორმავე სტანდარტები თავად მინისტრ მერაბიშვილსაც ისევე თრგუნავდა, როგორც მრავალ რეჟიმ პოლიციელს, ვისაც გონება, პატიოსნება და სინდისი ბოლომდე არ დაუკარგავს. ყველას, ვისაც დღეს ეს თვისებები შემორჩა, უნდა ესმოდეს, რომ რადიკალიზმის დრო წარსულს ბარდება და მის ნაცვლად რეალიზმის დრო მოდის: ვინც ამას გაიგებს – თამაშში დარჩება და რეფორმებს გააგრძელებს, ხოლო ვინც ვერ გაიგებს – წავა და ნამოქმედარზე პასუხსაც აგებს.

– თქვენი ანალიზი ყველამ წაიკითხა, ბატონო არნო, მაგრამ ბევრი მას სკეპტიკურად მოეკიდა. და მოდი, ნუ უარყოფთ, რომ ეს მართლაც მოულოდნელად მოხდა – ყველგან მსუფვემა სამთავრობო ტელევიზიებმა – „რუსთაი 2“-მა, „იმედმა“ და „პირველმა საზოგადოებრივმა“, რომლებიც სააკაშვილს ლამის საძინებელშიც კი მიჰყვებიან, წინასწარ ვერაფერი იყნოსეს და კულუარებიდანაც არაფერმა გამოჟონა...

– ამაში გეთანხმებით. სააკაშვილმა სასწრაფოდ შეწყვიტა ვიზიტი აზერბაიჯანში და ვადაზე ადრე დაბრუნდა ბაქო-დან, მარტო იმისთვის, რომ მერაბიშვილი მოეხსნა, და არა სამეგრელოში წყაღდილობის გამო! გაიხსენეთ: 2012 წლის 13 მაისს საქართველოს დედაქალაქ თბილისს არნახული წყაღდილობა დაატყდა თავს, დაზიანდა ასობით სახლი და ეკლესია, დაინგრა ათობით ქუჩა და ხილი, განადგურდა ელექტროგადამცემი სახეები, დაიბოროდა ასობით ავტომობილი და დაიღუპა 5 ადამიანი, ამ დროს კი სააკაშვილი სლოვენიაში მშვიდად გულშემატკივრობდა სტადიონზე 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩს, მერე კი მილანში შოპინგზე გაემგზავრა...

– კეთილი, მაგრამ რამ გამოიწვია ასეთი აჩქარება?

– გამორიცხული არ არის, რომ მიუწოდებლმა სააკაშვილმა გარკვეული ინფორმაცია მიიღო და განგაში ატეხა. თუმცა ბოლომდე არც მანამდე ენდობოდა მერაბიშვილს, მით უმეტეს, არ აქვს მისი იმედი დღეს, საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც მოწინააღმდეგედ ივანიშვილი პყავს, როდესაც რეფორმები კი არა – რეპრესიები სჭირდება, რომლებიც 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის სადამსჯელო ოპერაციებისა კი დარღვილავს. სააკაშვილმა იცის, რომ ვანო ამას „ხელს არ მოაწერს“, ისევე, როგორც თავისი ყოფილი კოლეგის – გენერალ ბადრი ბიჭაძის დაპატიმრებაზე არ წავიდა და ქვეყნიდან გაშვა.

მოსალოდნელი ბრძოლის წინ სააკაშვილმა პოლიციის წმენდა ქვემოდან, რიგითი პოლიციელებისგან დაიწყო, და მინისტრით დაამთავრა, რომლის შემდეგ შს-ის ხელმძღვანელობა შეიცვალა – მერაბიშვილის ერთგულ ხალხს, რა თქმა უნდა, შს-დან სხვა სამუშაოზე გადაიყვანენ. თუმცა თავად მერაბიშვილსაც არ სიამოვნებდა პოლიციელების გათავისუფლება ზემოდან ბრძანებით – „პოლიტიკური არაკეთილსამედობის“ მოტივით! ამიტომ, ვფიქრობ, თავის გადადგომას ვანო შევებით შეხვდა, თუკი საერთოდ თვითონ არ იყო მისი ინიციატორი...

– ბატონო არნო, აი, ამბობთ, „გადადგომაო“, მიანიშნებთ „საკუთარი სურვილით წასვლაზე“: განა ქვეყნის მთავრობის მეთაურად – მოქმედი კონსტიტუციით მესამე, ახლით კი ლამის ქვეყნის პირველ პირად დანიშნა შეიძლება გადადგომად ან, მეტიც, დაქვეითებად ჩაითვალოს?!

– ნორმალურ სახელმწიფოში – არა, არ შეიძლება. პოლიციურ სახელმწიფოში კი, სადაც მთავარი პირი მთავარი პოლიციელია, ეს დასაშვებია! ვინ არის საქართველოში პრემიერ-მინისტრი?! რაღაც საშუალო „ზავხოზსა“ და „ცეხავიკს“ შორის...

და კიდევ: მერაბიშვილის წასვლა ივანიშვილის პირველი დაპირების შესრულებას ნიშნავს! ვის უწოდა სააკაშვილმა სახელმწიფოს ხერხემალი? მერაბიშვილს! ახლა კი გაიხსენეთ: განა ივანიშვილი არ დაპირდა ხალხს, რომ ივანისხი ხელისუფლებას ხერხემალი შეაძტევდა? პოდა, გამოდის, რომ მერაბიშვილის წასვლით ივანიშვილმა დაპირება შეასრულა – სააკაშვილის ხელისუფლება ხერხემლის გარეშე დატოვა!

– დიახ, მაგრამ დარჩა შს-ის აწყობილი ძალოვანი სისტემა და ახალი მინისტრი, რომელიც მზად არის, უსიტყვოდ შეასრულოს პრეზიდენტის ნებისმიერი ბრძანება, არსებობს კონტროლის პალატის გამართული რეპრესიული სისტემა და მისი თავმჯდომარე – ნათია მოგელაძე...

– მომხიბვლელი მოგელაძე „მაგილაში“ ივანიშვილს ვერ ჩაიყვანს! და საერთოდ – მას, უბრალოდ, ვინმე უნდა შეუყვარდეს და მაშინვე დაწინაურდება...

რაც შეეხება მიშას დანარჩენ გარემოცვას: ხელისუფალნი ბოლომდე იბრძოლებენ, რადგან მათ ბევრი რამ აქვთ დასაკარგავი (არა მარტო ფული, თანამედრობები, არამედ თავისუფლება და, შესაძლოა, სიცოცხლეც კი). ქართველი ხალხიც, რომელსაც დასაკარგავი არაფერი აქვს, ბოლომდე იბრძობენ. ვინ გაიმარჯვებს – თვითონ გამოიციან ჩემი მეთოდით, რომლის შესახებ საუბრის დასაწყისში მოგახსენეთ, ანუ – ბუნების კანონებისა და ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

– და ბოლო შეკითხვა: როგორც კი ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკურ ცისკიდურზე გამოჩნდა, თქვენ პირველმა დაწერეთ მის შესახებ ანალიტიკური და საკამოდ კრიტიკული პუბლიკაცია „ოცნების სრულდება და არ სრულდება – ვინ ხართ, ბატონო ივანიშვილო?“. მას შემდეგ ნახევარწელიწადზე მეტი გავიდა. ბატონო არნო, ამ ხნის განმავლობაში მიხედით – ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?

– შეკითხვამა კარგად იცის, რომ ჩემთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს, სიმართლეს პირში ვუვხებო ყველას, ვინც მტყუანია. რაც შეეხება ივანიშვილს... იცით, ყველაფერს თავისი დრო აქვს, მათ შორის, სიმართლეს. „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავების!“ – სიმართლე არსად გაიქცევა, ჯერ მოვიდეს ხელისუფლებაში, საქმე გვანჯეროს, მერე კი თავის წილ კრიტიკას მიიღებს, თუ დაიმსახურებს. რა თქმა უნდა, შეიძლება სკეპტიკურად უყურებდე ბევრს ივანიშვილის გარემოცვაში, მის ზოგიერთ შეხედულებას, მაგრამ დღეს ბიძინას წინააღმდეგ მუშაობა საქართველოს წინაშე დანაშაულად მიმანია!

– გამაღობთ, რომ ჩვენს გაზეთს ამდენი დრო დაუთმეთ! რას გვისურვებდით?

– მსურს, შემოხვევით ვისარგებლო და „ილორის“ მთელ რედაქციას მაღლობა გადავუხადო და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო სიმართლისთვის უკომპრომისო ბრძოლაში! გახსოვდეთ – გახეთი ტირაუთი კი არა, გავლენიანობით ფასდება. და ამიტომ მინდა, გავახაროთ: როგორც ჩვენმა ვებდამინისტრატორმა მომახსენა, „ილორის“ ელექტრონულ ვერსიას „საქინფორმის“ საიტზე მეთხვევლი პყავს.

რაც შეეხება გავლენიანობას – ზუგდიდიდან „საქინფორმის“ რეგიონული კორესპონდენტისაგან ვიცი, რომ თქვენი გაზეთი სამეგრელოში ავტორიტეტით სარგებლობს.

ხოლო როგორც ხიდობეგიშვილი, ერთს გთხოვთ – ჩვენს ძმებთან – აფხაზებთან, ხიდები უნდა გავდოთ, ირგვლივ კი უამრავი მოლაქვე თაღლითია, ამ თემით რომ სპეკულირებს. ამიტომ – რაც შეიძლება მეტი მასალა აფხაზეთზე, თქვენ ხომ ასეთი უნიკალური შესაძლებლობა გაქვთ – მეზობლად ხართ, და იქ ბევრს იცნობთ.



კოლხეთი — პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171, 172, 173, 174, 175, 176, 177

ისიც ცნობილია, რომ ბერძენები ლახ-მეგრელებთან (ჭანებთან) შედარებით ახალი ეროსი, კოლხური ცივილიზაცია რამდენიმე ათეული საუკუნით უსწრებდა ბერძნულ ცივილიზაციას.

კოლხური დამწერლობა — კირბების შექმნას მიაწერენ კორიანტებს, რომლებიც ანტიკობის დასტურითაც „კოლხთა-განც არიან“. მოიპოვება სხვა მასალებიც: ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნის ბერძენი სწავლული პალიფატე, აგრეთვე ხარაქს პერგამონელი, თანაც ანტიოქსიელი, სვიდა, ევსტათი თესალონიკელი და სხვების აზრით „კოლხეთში დატყვევებული ტყავი ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო, არამედ ტყავზე (იგულისხმება კრავის ტყავზე) ნაწერი წიგნი იმის შესახებ, თუ რგორ მიეღოთ ოქრო. თანამედროვეებმა მას უწოდეს ოქროსი, მისგან გამომდინარე მოქმედების გამო“ (გ. ჭელიძე).

ცნობილი მეცნიერი ა. მასკოვსკი წერს: „**ოქროს საწმისი**“ იყო წიგნი, რომელშიც ეწერა ოქროსა და სველის დამუშავების საიდუმლო და სხვა საიდუმლოებანიც.

ასევე უადრესად მნიშვნელოვანია მკვლევარ თამარ კობახიძის დასკვნები, რომ, როცა მედამ მამის სახელად გაიტაცა აიეტის სამეფოს ნივთები, მათ შორის იყო სპილენძის სამისო საფეხი, რომელიც დიდიხანა სიცილიის სიტყვებით — „ძველი სიტყვით ასოებით შესრულებული წარწერებიანი სპილენძის სამეფი“ იყო.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მიხედვით „**მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი დასავლეთ ქართულ დასავლეთ მეტყველებდნენ**“, რომ აიეტი მეგრულ ენაზე ლაპარაკობდა (მეტყველებდა)... მაშასადამე, მედამ და აიეტი, აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე.

მოგვეყვან ვრცელი ამონარიდი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სტატიიდან:

რა ენაზე მეტყველებდნენ აიეტი და მედამ? თუ რა მოსახლეობა დახვდათ კოლხეთში არგონავტებს და რა ენაზე მეტყველებდნენ აიას ქვეყანაში, სადაც გავრცელებული იყო ოქროს საწმისის კულტი, ამის დადგენა შეიძლება ბერძნულ ტექსტებში შემონახული ერთი სიტყვითაც კი. ცხერის კულტი ჩვენში დღემდე შემორჩენილი, ხოლო ბერძნულ ტექსტებში შემონახული სიტყვა გახლავთ ოქროს საწმისის ბერძნული სახელწოდება კოვო/კოვა.

ქართული სიტყვის ტყავის მეგრულ-ლაზური ვარიანტი უნდა ყოფილიყო ტყო-ტკო ფორმა (თანამედროვე მეგრული „ტყეპი“, ლაზური — „ტკეპი“).

ბერძენებმა ეს სიტყვა გამოიყენეს სიტყვა „ტყავის“ მნიშვნელობით იმ სპეციფიკური „ცხერის ტყავის“ აღსანიშნავად, რომელსაც განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა.

სავარაუდოა, რომ ოქროს საწმისის და, საერთოდ, ტყავის აღსანიშნავად ბერძენები საკუთარი „დერმას“ გვერდით იყენებდნენ კოვს. ეს სიტყვა უთუოდ შეითვისეს იმ ქვეყანაში, სადაც გავრცელებული იყო ცხერის ტყავის კულტი.

ეს კი ნიშნავს, რომ ბერძენების მოსვლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო დიალექტი — მეგრულ-ლაზურის წინაპარი, რომელზედაც ტყავი აღნიშნებოდა ტყო-ტკო ფორმით.

ამ დიალექტის დღევანდელი გავრცელება მეგრული და ლაზური.

არგონავტების გამ „არგოს“ სახელს საფუძვლად უდევს, სერვი ჯიქიას გონება-მახელწერი მიხედვით, ეგრ-ის-ს, ქვეყნის სახელწოდების დასავლეთ ქართული აგრ/არგ ვარიანტი, რომელთაგანაც ეთნონიმი მ-არგ-ალი წარმოდგება.

მაშასადამე, მედამ და აიეტი, აიას ქვეყნის

ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე. სახელი, კოლხური, მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ — წერს თ. გამყრელიძე.

გიხო ჭელიძე ასეთ განზოგადებას აკეთებს: „**მაშასადამე, აიეტის დროს და უფრო ადრეც, კოლხებს ჰქონდათ საკუთარი ენა და ამ ენაზე შექმნილი დამწერლობა. ეს პერიოდი დაახლოებით განისაზღვრება პომპროსამდელი ეპოქით, XV-XIV საუკუნეებით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ 3.000 წლის იქით არსებობდა საქართველოს დასავლეთი ნაწილი — კოლხეთი, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფო, ჰყავდა მეფე, კოლხური ენით იმართებოდა ქვეყანა და ყველაზე მნიშვნელოვანი — ამ ენაზე არსებობდა დამწერლობა. ხოლო ოქროს საწმისის წინარე ქართველური მოვლენა (პროტოქართველური, კოლხური მოვლენა — კ. შ.) და იგი აცოცხლებს ჩვენს უძველეს ისტორიას“ (გიხო ჭელიძე, მართლად რა ენაზე მეტყველებდა აიეტი. კურნ. „რიწა“, 2000, №1-2, გვ. 30).**

მსოფლიოში 3 ათასზე მეტ ენას (ზოგიერთი 7 ათასამდე) ითვლიან, დამწერლობა კი მხოლოდ თოთხმეტი, აქედან ერთ-ერთი ქართული დამწერლობაა.

ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი რამაზ პატარაძე წერს:

ქართული ანბანი შექმნილი და დასრულებულია ქართველ ქურუმთა მიერ ძვ. წ. 444 წელს. როგორც სახელმწიფო დამწერლობა, შემოღებულია ძვ. წ. 284 წ. მეფე ფარნავაზის მიერ. ძვ. წ. I საუკუნიდან, სპარსელების მხარდებით შედგება, ქართულმა მწიგნობრობამ დაკარგა სახელმწიფო მწიგნობრობის უფლება. ქართული მწიგნობრობა და სახელმწიფო ენა აღორძინდა მირიან მეფის დროს, ახ. წ. 311 წელს. ამიტომ „**ქება და დიდებაი ქართულისა ენისაი**“ (ქრისტე შობიდან 342 წლის თარიღიანი თხზულება) ქართულ მწიგნობრულ ენას „**ლაზარას**“ ადარებს. ლაზარე ცოცხლობდა, მოკვდა და ქრისტემ შედგურთით აღადგინა. მსგავსადვე მწიგნობრული ქართული ენა ცოცხლობდა ქურუმთა და ფარნავაზ მეფის ხანაში, მოკვდა სპარსელთა ბატონობის პერიოდში და აღორძინდა მირიან მეფის დროს — ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად. ამასვე ადასტურებს ახ.წ. 367 წლის თარიღიანი დავითის ქვასვეტი, რომელიც 1984 წ. აღმოაჩინეს და სადაც აღნიშნულია ქართული ანბანის ორი მნიშვნელოვანი თარიღი: ძვ.წ. 284 წ. (ფარნავაზის დრო) და მირიან მეფის დროინდელი 311 წ. ჩვ.წ. ანუ ქართული ანბანის აღორძინების წელი.

მეგრული ენის მნიშვნელობაზე, მის მრავალფეროვნებაზე და უნიკალობაზე მრავალი შრომა აქვს გაბოჭვენილებული პროფესორ მამანტი მაძამიას თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

პროფესორმა ოთარ ქაჯაიამ გამოსცა მეგრული ლექსიკონის სამტომეული. ახლა გამოდის მეოთხე ტომიც (უკვე გამოვიდა). გერმანიაში გამოვიდა პროფ. ქაჯაიას და პროფ. პაინრიხის მეგრულ-გერმანული ლექსიკონი. მოსკოვში დაიბეჭდა პროფ. თ. ქაჯაიას მეგრულ-რუსული ლექსიკონი.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი კოლხეთის დედაქალაქი არ ყოფილა ქუთაისი. ამაზე გარკვევით ამბობს ივ. ჯავახიშვილი: „**ყურადღების ღირსია, რომ მაშინ ქუთაისი ჯერ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად არ ითვლებოდა და მარტო მაგარი ციხე ყოფილა. კოლხეთის ანუ ლახიკის პირველ და უდიდეს ქალაქად ძველი ქალაქი (არხაიპოლისი), ნაქალაქევი იყო ცნობილი“.** როგორც ჩანს, ქუთაისი დედაქალაქად შემდეგ საუკუნეებში უქცევიათ (ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I, გვ. 314-315).

აიას სახელმწიფოს განაგებდა კუტაიელი (და არა ქუთაისელი) აიეტი. როგორც წყაროებიდან ჩანს, აიეტი წარმოშობით ყოფილა კუნძულ კრეტაზე ირაკლიონის დასავლეთით მდებარე კუტაიონიდან. გარდა ამისა, კოლხეთის მეფე ტაიას სახელიდან, ადვილად შესაძლებელია, ქუთაისის, კუტაის სახელი წარმომდგარიყო.

კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქის თავდაპირველი სახელია „აია“, შემდეგ დიდებისა და ჩველების აღმნიშვნელი, წინსართი დაემატა და ეწოდებოდა „აია-აია“. აიეტის ერთ-ერთ შვილიშვილს — ქალკოპეს შვილს, რომელიც ძმებთან ერთად ომში დაიღუპა, ერქვა კიტი — სორე (სოროსი), რომელიც მეგრულად ნიშნავს „**კიტი**“, „**სადაა**“ — „**სად არის**“. ჩვენ დროშიც კი ირანის უკანასკნელი შაჰის მუჰამედ რეზა ფაჰლავის (1919-1980) მეუღლეს სორეია ერქვა („სადარის ია“).

გრიგოლ გიორგაძე და ნანა ხაზარაძე წერენ: დაახლოებით ძვ. წ. V ათასწლეუ-

ლის ბოლოდან მაინც იწყება საერთოქართველურ ენობრივი სისტემისა და ეთნონის ჩამოყალიბება. საერთოქართველური (პროტოქართველური) იყო წინაპარი ენა იმ ენათათვის, რომლებსაც დღეს ჩვენ ეუწოდებთ ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ჭანურს, ე. ი. ქართველურ ენებს (გრიგოლ გიორგაძე, ნანა ხაზარაძე, ქართველთა წარმომავლობა, იხ. წიგნი „**უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა**“, თბ., 2002, გვ. 162, 173). შემდეგ აგრძელებენ:

ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ქართველური ეთნოსი წარმოვიდგება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობა თავისი დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით.

კოლხური ენა ლათინურ ენაზე (და ყველა სხვა ენაზე) უძველესია. კოლხურ ენას ათასწლეოვანი ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით, აღნიშნავს ვლ. ალფენიძე: „**პროტოქართველური კოლხური ენათი ლათინურ ენაზე უძველესია მსოფლიოში. კეთილი თვალთ ჩაიხედეთ მსოფლიო ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში და იოლად დაგრწმუნდებით ამაში**“ (ვლ. ალფენიძე, კოლხეთის მეფის აიეტის ენა — კირკე, რომის იმპერიის დღისიმშობელი. საქართველო დღისიმშობელის ქვეყანაა, გაზ. „**ერი და საზოგადოება**“, 1996, ნოემბერი, №3).

ვლ. ალფენიძის განაგარიშებით „**ლათინური ენიდან ქართულში (კოლხურში) მრავალი ასული სიტყვაა შესული. ასევე ქართველური — კოლხური ენიდან ძალიან ბევრი სიტყვაა შესული ლათინურში**“.

ბერძნულ-კოლხური ურთიერთობანი — პელაზგებისა და კოლხ-ლაზების ურთიერთობანი (ამას ბერძნული მითებიც მოგვიხსობენ) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბერძნულის აღზევებას მსოფლიო მასშტაბით. ვლ. ალფენიძე აღნიშნავს, რომ „**ისიც კოლხური (პროტოქართველური) ენა დიდიხანა და არა უძველესი, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროტოქართველური ენა, ამავე დროს მსოფლიო მნიშვნელობის ცივილიზაციის შემქმნელი ენა, მათთვის ბევრი რამ დაუგვრებელია. ეს ათას სხვა ფაქტთან ერთად, ლათინურში კირკე დღისიმშობლის კოლხური ენის ბიერი ლექსიკონი დანაშრევიც ჩანს**“. ვლ. ალფენიძე საზუსტით მიუთითებს, რომ ლათინურსა და ქართველურში სიტყვათა, ლექსიკონურ ერთეულთა საოცარი დამთხვევებია.

მას ქართველ-ლათინური ენების ურთიერთხედავებისა და სიტყვების ურთიერთთანხვედრილობის (დამთხვევის) გარკვევა-განაწილების გარდა, განსაკუთრებით აინტერესებდა, თვისობრივად როგორი სახის დამთხვევა და კოლხური (ქართული) ენიდან რამდენი სიტყვა შევიდა ლათინურში. ამის უტყუარ საფუძველს იძლევა ბერძნული და რომაული მითოლოგია, რომლის თანახმადაც კოლხი ქალღმერთის კირკეს შვილი ლათინი არის ლათინური ენის შემქმნელი (მითი ამბობს, რომ ლათინი ერის და ენის მამამთავარი არის კოლხი კირკე დღისიმშობლის ძე — ლათინი). მაშასადამე, დღისიმშობელი კირკე ლათინური ენის დედაა. და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მითი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ამდენი ქართველური და ლათინური სიტყვები ერთმანეთს ეთხვევა, რაც რეალურადაა და მითსა და რეალობას შორის გადებულება „**ენათმეცნიერული ხიდი**“, რომელიც დიდი რუდუნებით და დიდი ნიჭიერებით აღწერა ვლადიმერ ალფენიძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსულ ენაში უფრო მეტია ლათინური სიტყვები, ვიდრე ქართულში. ეს იმიტომ, რომ რუსი ერი 4000-3500 წლით გვიან ყალიბდება, ვიდრე ქართული (კოლხური) და ლათინური ენები. ამიტომ რუსულ ენას ლათინური ენისათვის არაფერი შეუმატებია — რუსული ლათინური სიტყვებით აისვებს ლექსიკონურ მარაგს. კოლხური კი, პირქით, ვაცემს თავის სიტყვებს ლათინური ენის შესაქმნელად. „**აი, ეს არის მთავარი. ამით ჩვენ ისტორიულ ფაქტს ვაფიქსირებთ. ეს არავისთვის არ უნდა იყოს საწყენი**“.

ვლ. ალფენიძემ ქართველურ (კოლხურ) და ლათინურ ლექსიკაზე დაბეჯითებით მუშაობის შედეგად ერთმანეთს შეადარა 20 ათასი ლათინური და ქართველური (კოლხური) სიტყვა, რის შედეგადაც გამოავლინა მრავალი სიტყვის თანხვედრა. ვლ. ალფენიძე მიუთითებდა, რომ ლათინურში არსებობდა კოლხური ენის ლექსიკონური დანაშრევის ამოცნობის, ამოკითხვისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომ „**მომავალში გაცილებით უფრო მეტის გამოვლენა შეიძლება**“ (ვლ. ალფენიძე, გაზ.

„**ერი და საზოგადოება**“, 1997, №6, გვ. 8, 12), — წერდა ის.

ქვემოთ მოგვაქვს ლათინურ-ქართველური (კოლხური) ენების ურთიერთ დამთხვევის მხოლოდ ზოგიერთი მაგალითი: (მედეა, მედიცინა) — მედეა — მედიცინა — „**მედიცინა**“ — „**სამედიცინო მეცნიერება**“ — „**მე**“, „**დეა**“ — ქალღმერთი, მედეა ნიშნავს ქალღმერთს“. მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო „**მედეას ლექსიკა**“ ლათინურ სამედიცინო ტერმინოლოგიაში, არამედ ლათინურ-ქართველური (კოლხური) ლექსიკური თანხვედრები.

ავიღოთ სიტყვა „**ფაზანი**“ („**ქილორი**“, „**ხოხობი**“). ამ ფრინველს არ იცნობდნენ ლათინელები, ბერძენები, რომლებიც და ამიტომ, როგორც ცნობილია, მას ფაზისის ფრინველი უწოდეს (Fasan). საქართველოში კი ის უძველესი ენდემური ქართველური სიტყვაა — „**ქილორი**“ კოლხეთში და „**ხოხობი**“ კახეთში.

ცნობილია, რომ ერი ფასდება იმ წვლილით, რაც მან შეიტანა მსოფლიო ისტორიის საგანძურში. კოლხეთმა გაამდიდრა მსოფლიო რკინა-ფოლადის დამუშავების ტექნოლოგიით, მედიცინის განვითარებით, მევენახეობა-ღვინის წარმოებით, და სხვა ახალი აღმოჩენებით (ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი). გარდა ამისა, კოლხეთთან არის დაკავშირებული დედამიწის ერთ-ერთი უღამახესი ფრინველის ხოხობის ვერობაში გაყვანა. არგონავტებმა ფაზისის (რიონის) ნაპირებიდან (კოლხეთიდან) იქ ბინადრი მშენებელი ჩიტი საბერძნეთში წაიყვანეს, რის შემდეგ ეს სახეობა მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამას ადასტურებს ხოხობის ლათინური სახელწოდება hasianus kolchikus-ც. თბილისის ღერბს ხოხობის სიმბოლო ამშვენებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხოხობის გამოსახლება გერმანიის საფოსტო მარკაშიც გვეხვდება. იმასაც მიუთითებენ, რომ ჩახოხობილი ქართულ ეროვნულ კერძად ითვლება და მსოფლიოს მალაი კლასის რესტორნებში სახეიმო მენიუში შედის. ჩვეულებრივი ანუ კოლხური ხოხობის სამშობლოდ საქართველო (კავკასია) ითვლება, დასავლეთ ვერობასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ხელმოწერად შეუყვანიათ. განმაცვიფრებელი სილამაზის გამო საშობის ფრინველსაც უწოდებენ. (გაზ. „**ასავალ-დასავალი**“, 2007, 25 ივნისი-1 ივლისი, №96, გვ. 38. ლალი შაშაშვილის საუბარი ბიოლოგ. მეც. დოქტორ ლალი ედილაშვილთან და დავით თინაშვილთან, არგონავტებმა ოქროს საწმისთან ერთად კოლხური ხოხობი ვერობაში შეიყვანეს.)

კოლხურში, იბერიულში, ლათინურში გუგულს ერთი და იგივე სახელი ჰქვია „**გუგული**“ (ლათინურად Cucuius). ასევე კოლხურში, იბერიულში და ლათინურში ფრინველის — „**ოფოფის**“ სახელწოდებაც — ერთი და იგივეა. ლათინური serum, სერი არის გვიანი დრო. კოლხურში „**სერი**“ თავისი ვარიანტებით „**გვიან დროს**“ — ლამეს ნიშნავს; „**აგესერაფა**“, „**აგესერუა**“, „**ოსერუა**“ (ვახუშთი — სადამოს სუფრა), ეს სიტყვა, სხვა მრავალ სიტყვასთან ერთად კოლხურიდანაა შესული ლათინურში.

Scamui+umcesamui ლათინურად ნიშნავს „**სკამს**“, „**სკამი**“ კოლხურად და ლიტერატურულ ქართულში იმავეს ნიშნავს, რასაც ლათინურში.

კოლხურში არის ერთი „**ფილოსოფიური ფრანკოლოგიზმი**“: „**ჯგირი დო ფური**“ — ე. ი. „**კარგი და ცუდი**“ — სიკეთე, სიკარგე (რომელიც ჯგეგეს — წ. ვიორტის უკავშირდება (დაბა ჯგერში არის ჯგეგეს ეკლესია). აი, ამ თვალსაზრისით კოლხური ენა პირდაპირ კავშირშია ლათინურთან, კერძოდ, ლათინურ სიტყვასთან fur (ფურ).

ლათინური lemes, ლემენ „**ზღვარს**“, „**ზღურბლს**“ ნიშნავს. „**ლიმა**“ კოლხურში ნიშნავს ბრძოლას, ომს. კოლხეთში არის „**ნალიმა**“ (ნაომარი) სამურზაყანოში, სათანჯოსთან და რუსის ციხესთან და ზუგდიდთან ახლოს, ენგურის ნაპირზე. „**ლიმა**“ კოლხურიდან ლათინურში შესული სიტყვაა.

Ponts ლათინურად არის „**ზღვა**“, „**შავი ზღვა**“ (ზღვას ლათინურად აგრეთვე ჰქვია „**შალ**“ — მარილიანი). ამ სიტყვა — „**პონტომ**“ მისცა სახელწოდება რომის ისტორიაში ცნობილ პონტოს სახელმწიფოს, რომელშიც ერთ დროს შედიოდა კოლხეთი და რომლის მრისხანე მბრძანებელმა მითრიდატე ვვატორმა, ორ ათეულზე მეტი ენა იცოდა (22), მათ შორის, რა თქმა უნდა, კოლხური. ამ სახელწოდების ქალაქი ევპატორია, დღესაც არსებობს ყირიმში, ხოლო ცნობილ მწერალს ლევან გოთოში გამოქვეყნებული აქვს ისტორიული რომანი „**მითრიდატე**“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბიორგი ანთელავა: "გათუფი არის აღბილები, სადაც ქართველები უმსვლას მერიდებია"

ქართულ-თურქულ ურთიერთობებსა და მიგრაციის პრობლემებზე აღმოსავლეთ-ცოდნე, პროფესორი ბიორგი ანთელავა გვესაუბრება:

– თურქეთში პირველად 1973 წლის იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე ვიყავი, სადაც ქართული პავილიონი ცალკე იყო წარმოდგენილი. იმჟამინდელი თურქეთი ფეოდალური სახელმწიფოს შთაბეჭდილებას ტოვებდა, იგრძნობოდა რელიგიური წრეების დიდი გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ ათათურქმა თურქეთის რესპუბლიკა საერო, ლაიცისტურ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

– თუმცა, ათათურქის რეფორმები აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევს.

– ეს პროგრესული მოვლენა იყო, განსაკუთრებით ენის რეფორმა, ლათინურ ანბანზე გადასვლა, განათლების რეფორმა, თუმცა, ათათურქს საკმაოდ ბრძოლა მოუხდა იმისათვის, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ისრამს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი არ ჰქონოდა. დღევანდელი თურქეთი, ცხადია, ძალიან განსხვავდება 1980-იან წლების სახელმწიფოსგან, ის ძლიერი სახელმწიფოა, ინტეგრირებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც არის ნატო, რომის კლუბი, საბაჟო კავშირი... თურქეთის ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ევრაფრი მოუხერხა უმუშევრობას, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, სოციალურ გაჭირვებას, მოსახლეობა დიდ ქალაქებს მიაქცია. ამიტომ, ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ რთული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მუშახელის მასობრივი ექსპორტია ევროპაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გასაბჭოების მიხედვით გამოგერმანიაში მუშახელის დიდი დევიცირტი შეიქმნა, 1960 წელს გერმანიის მთავრობის მიერ გამოცხადებულ 500 ათასი საშუალო ადგილზე, ვაკანსიაზე მხოლოდ 188 ათასი მსურველი აღმოჩნდა. თურქეთის მთავრობის ინიციატივით თურქეთმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას გერმანიაში თურქების დროებითი დასაქმების შესახებ, დაიწყო თურქების მასობრივი ემიგრაცია, თუმცა, გერმანიაში ამას თავიდანვე ჰყავდა მოწინააღმდეგეები. მიგრანტების პირველი ტალღა – 2500 მუშა, გერმანელებმა ზარ-ზეიმით, მუსიკითა და ყვავილებით მიიღეს, დღეს კი გერმანიაში ლეგალურად, სამი მილიონი თურქი ცხოვრობს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის პირველ წლებში თურქი ემიგრანტებს არავითარი მოთხოვნები არ ჰქონიათ, გარდა სოციალურისა. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეეგროვებინათ საჭირო თანხა სამშობლოში მცირე ბიზნესის წამოსაწყებად, მაგრამ დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა. პირველი, რაც თურქებმა მოითხოვეს, გერმანიაში სასკეების ობიექტებში დროის ხორცის აკრძალვა იყო. ამგვარი პრობლემები მართლაც მოგვარდა, მაგრამ მოგვიანებით უფრო დიდმა პრობლემებმა იჩინა თავი.

თურქებთან დაკავშირებული ევროპაში ისლამის რეანიმაცია, დღის წესრიგში მათი რელიგიურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტის საკითხი დადგა, თურქებმა დაიწყეს რელიგიურ-კულტურული ცენტრების

მოწყობა-მშენებლობა, რაც სალოცავ ადგილსაც გულისხმობდა, საფრანგეთში მხოლოდ 1980-დან 1985 წლამდე 1000 ასეთი სალოცავი მოეწყო. დღეს გერმანიის არაერთ ქალაქში დღემდე ხუთჯერ იხმის მუქების ძახილი... გასული წლის 18-21 სექტემბერს, გერმანიაში ვიზიტის წინ, თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ერთ-ერთ ინტერვიუში გერმანულ საზოგადოებაში თურქების ინტეგრაციის პრობლემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ "მის გადასაჭრელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანული ენის უაქცენტო, ზედმიწევნით კარგ ცოდნას". პრეზიდენტის განცხადების ტონის და შინაარსის აშკარა ანტიპოლია პრემიერ-მინისტრ ერდოღანის პოზიცია. რამდენიმე წლის წინ, კიოლანში ვიზიტისას, კიოლანის სტადიონზე შეკრებილი თურქების 20.000-იან აუდიტორიას შეასენა: "თურქული თქვენი მშობლიური ენაა, რომელიც თქვენი შეილებს უნდა ასწავლოთ. ასიმილაცია დანაშაულია კაცობრიობის წინაშე! თქვენ თურქი მუსლიმები ხართ და ასეთებდა უნდა დარჩეთ". გერმანიის ხელისუფლებას კი ურჩია, თურქული სკოლები გაეხსნა. მან შეკრებილებს პირდაპირ მიმართა: არ დაგავიწყდეთ, თქვენი სამი მილიონი ხართო. ამ განცხადებას გერმანიაში სკანდალი მოჰყვა, მერკელმა აღნიშნა: მშობლიურ ენას თურქები ისედაც უფლებებიან იჯახებნ და თურქულ უბნებში, გერმანიაში კი სახელმწიფო ენა გერმანულია და ყველამ, ვისაც კარგი ენა წარმატება სურს, პირველ რიგში, სახელმწიფო ენა უნდა ისწავლოს.

– ამ ვითარებაში როგორია სამხედროების პოზიცია, რომლებიც, ტრადიციულად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

– წინა თაობის სამხედრო წრეების წარმომადგენლები ათათურქის იდეების ერთგულებით იყვნენ, ახლა კი ვითარება შეიცვალა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ქვეყანაში ისლამიზაციის პოზიცია. ერდოღანმა მინარეთები ცისკენ მიმართულ რაკეტებს შეადარა, მისი აზრით, "ლაპარაკი ზომიერ ისლამზე შეუბრუნებელია, ისლამი ისლამია და ამით ყველაფერია ნათქვამი". დღეს ევროპის ქალაქებში არის უბნები, სადაც ევროპელი ცდილობს, არ შევიდეს, აქ წარწერები თურქულ ენაზეა. დანიაში, პოლანდიაში დაიწვეს ლაპარაკი საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე. პოლანდიაში პოტენციურ ემიგრანტს ტესტს უტარებენ, აჩვენებენ ფილმს, რომელმაც უნდა განსაზღვროს, აგრესიულია თუ არა ის, საელჩოში აბარებინებენ გამოცდას პოლანდიურ ენაში, რაც 500 ევრო ღირს.

– დღეს ქართულ-თურქული ურთიერთობების ყველაზე ცხელ თემად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები მიჩნევა.

– როცა ჩვენი "შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტის" მშენებლობაზე დაიწყო ცხარე დისკუსია, თურქოლოგებმა, გარდა ქალბატონი გოული ალანანისი, თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება აშკარად გამოხატეს. საქმე ის არის, რომ თურქული არასოდეს ყოფილა განათლების დონით გამორჩეული, მით უფრო, განათლების ექსპორტიორი ქვეყანა. თავის დროზე ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრს

ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია და შედგა კიდევ გარიგება. თავდაპირველად შავი ზღვის უნივერსიტეტის გახსნას ბაზაღვითის ტბასთან აპირებდნენ, ესეც ტაქტიკური ნაბიჯი იყო – ქართველები ბაზაღვითის ტბას არ დათმობენ, სამაგიეროდ, სხვა ადგილას უნივერსიტეტის გაშენებაზე ხმას არ ამოიღებენ. შემდეგ გაირკვა, რომ ამ ყველაფერში 50 მილიონი დოლარი გადაიხადეს და, ცხადია, არაფერი შეიცვლებოდა. უბედურება ის არის, რომ თურქების გარდა ქართველებიც უკადრისს კადრულობენ ფულისათვის.

ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ დღევანდელი თურქულ-ქართული ურთიერთობები პარიტეტული არ არის. მხოლოდ თურქული თუ სხვა ინვესტიციის შემოსვლა არაფერს ნიშნავს, თუ სახელმწიფოებრივი ინტერესი არ იქნება დაცული. ერთობლივი ენერგოპროექტების, კასკადების მშენებლობისას კატეგორიულად არ ითვალისწინებენ ქართველი ეკოლოგების აზრს.

რაც შეეხება ქართული ტაძრების – ოშკის, იშხანის და სხვათა პრობლემას. ეს ძეგლები რამდენიმე საუკუნეა, თურქეთის ტერიტორიაზეა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ტაძრებს თურქეთის ხელისუფლებამ "ძველი ძეგლები" სტატუსი მიანიჭა, რითაც მათზე პასუხისმგებლობა დაიკისრა, ისინი დღემდე სავალალო მდგომარეობაშია. რას ნიშნავს, როცა გვეუბნებიან: თუკი თქვენ მოგვცემთ უფლებას, ბათუმში ახსივს მქეთი ავაშენოთ და ახალციხეში მქეთს რესტავრაცია ჩაუტაროთ, ჩვენ ოშკის, იშხანის ერთობლივი რესტავრირების ნებას დაგვრთავთ, ამგვარი "ბარტერი" დაუშვებელია! ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: რისთვის უნდა ბათუმში თურქებს მქეთი? ბათუმში არის მქეთი, სადაც ყველა სუნიტ მაჰმადიანს თავისუფლად შეუძლია ილოცოს, მაგრამ მათ თურქული ისლამის მქეთის აშენება სურთ. ევროპის მაგალითიც აჩვენებს, რომ ამგვარ მქეთებთან ჩნდება ისლამური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ ჭკუაზე მართავენ თემს. არაფორციალური მონაცემებით, დღეს ბათუმში 70 ათასი თურქი ცხოვრობს, არის ადგილები, სადაც ქართველები შესვლას ერიდებიან და სადაც მომრავლდა თურქულენოვანი წარწერები, ამასთანავე, აჭარის ტელევიზიით ყველდღე გადის ცეკვა თურქული ენის გაკეთილები. დღეს ქართულმა სახელმწიფომ უსუსტად არც კი იცის, რამდენი იმიგრანტი ჰყავს, რაც ადრე თუ გვიან, სავალალო შედეგს გამოიღებს. სწორედ აქ გამოსჭვივის ჩვენი ხელისუფლების დანაშაულებრივი დამოკიდებულება საქართველოსადმი, მართლმადიდებლური რელიგიისადმი. ქვეყანას მწყობრი, მიზანდასახული სამეგრაციო სამსახური სჭირდება, რადგან სწორედ ერთიანი სამეგრაციო პოლიტიკის უქონლობამ გამოიწვია ევროპაში ის დიდი პრობლემები, კოლიჩები, რის წინაშეც ისინი დღეს აღმოჩნდნენ. სხვის შეცდომებზე ხომ ბრძვივბიც კი სწავლობენ!

ერთი სიტყვით, საგანგაშო მდგომარეობაა, რაც სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. ჩვენი ხელისუფლება კი თავს არ იცუხებს...
6. აპრილი 2012

პოეზიის კუთხე
მარბალობა დო
ჟოროფა!

გოჭყორდო თუ ხალხიკი
ვაშარჩქილე ჩიშუ ჩამუ,
„თე ქიანა რხინაფილს“
ლურშა დუდი ქიშუჩამუ!
მიშა ბათუმს გილაგარეენს,
ქართ სომხეფშა ქიშუჩამუ!
ჩქინ ჯიში დო ჩქინ გამნარეი
ლორნოს ხატშა გინუჩამუ!
შხვა მუ ოკო იფიქრენი,
თაშ ვაგოთანდ ჩქინო დღახუ!
კიტა შქირენიშღურელი.
მიშა, მიშა გილეხაზე!
მა მუთ ოკო მიგეხვარე,
ჩქიმ ღურუ დო ჩქიმი ყოფა!
კუნჩიშა ქეთიანახეს,
მარბალობა დო ყოროფა!
ათაშ, ორან ინოლაფიოს,
შურიშ დღაღას მიზიმუნა.
მარბაღას, სამარბაღოშ გაღე,
კერპ-მოჯგირე ვამიყუნა!
მა ათე დღაშ გინმაჯინე,
შხვაშ ოჯგურე, ღუს იპჯუა!
მარბი მითინს ვაუთქუალუ,
ვადმაგურე მა დღახუა!
მარბ მითინშა ვამკოროცხუ,
ვართ მანგიორ, მითხუ შხვაშა.
საგვერდოთი ყვანა ვამხანქ,
ლაიტ ვავოთირთუ შქაშა!
ლორნოს, სქან სახეულე დიხვამუ!
მუშე ოკო ორდას თაში –
ჩქიმ ოჯახიშ ჯგირ დო ფური
გინაჯგვიდირალი შხვაშო!
შხვაშ უმოშო სამარბაღო,
გურე ბჯუნდასინ, შიში მიღუ.
სამარბაღოშ ყოროფაქ,
თოლსინთელე მიდამიღუ.
თენა ხოლო მუთუნ ვარე,
მიწისინი თიში გეშა –
სამარბაღოშ ყოროფაშენ,
ბრელს გუფურესია ჩხეშა!
დღას ვაპოფექ შხვაშ იმენდო,
ვართი შხვაშ მიმაჯინე,
მა ქიდიგესაჭირი და
რყუნდა მტერიშ ვამარჯგინეთ!
ქუდომბახი, დო გოფრჩქინდუქ,
ჩქიმ ღურუ დო ჩქიმი ყოფა!
ვარა კუნჩიშა ქეთირჩეს,
მარბალობა დო ყოროფა!

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

წყალდიდობა
სამეგრელოში

ძლიერმა წვიმამ სამეგრელოს რამდენიმე მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად დააზარალა. როგორც ზუგდიდიდან იწყებოდა, დატბორილია სოფლები დიდინეში და ჯიხაშკარი. ამასთან, ზუგდიდი-აბასთუმნის გზაზე ხიდი წყლით არის დაფარული.

სოფლებში – გროგოლიშში, კორცხელსა და ოდიშში – მეწყერი ჩამოწვა, რის შედეგად შიდა გზები ჩაკეტილია, მძიმე ვითარებაა სოფელ ყულიშკარშიც.

ძლიერმა წვიმამ მნიშვნელოვნად დააზარალა წალენჯიხის მუნიციპალიტეტიც. სამ თემში – ობუჯში, ნაკიფუსა და ფახულანში – განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა.

ობუჯის თემში შემავალი ორი სოფელი, სამეხსიო და ჯადირა, გარესამყაროსა მოწყვეტილი, დანგრეულია ხიდები. ერთ-ერთი სახლი მეწყერმა ძლიერად დააზიანა, თუმცა მასში მყოფების, მათ შორის, ერთი ბავშვის გადარჩენა მოხერხდა.

მსხვერპლი არ არის, თუმცა როგორც წალენჯიხის აბგეობაში აცხადებენ, აღამიანებმა ფიზიკური დაზიანებები მიიღეს.

ჩხროწყუნაკიანი-გარახას გზაზე ხიდი ჩინგრა, რის გამოც მოძრაობა შეწყვეტილია. დატბორილია ჩხროწყუნა ცენტრში საცხოვრებელი სახლების ნაწილი და სოფლები ლეწურწურე და ახუთი. განსაკუთრებით მძიმე ვითარება ქვედა ზონის სოფლებშია.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ძველ ხობულაში, ხეთასა და პირველ მაისში – სახნავ-სათესი მიწებია დატბორილი. შეფერხებულია მოძრაობა სოფელ პირველ მაისში.

სტიქიური უბედურების შედეგად შექმნილი მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ სააკაშვილმა ბაქოში ვიზიტი შეწყვიტა და რეგულარულად მონახულა. ბედნიერებაა, რომ ამჟამად მილანში აღარ გაემგზავრა შოპინგზე.

სამინფორმაციო

ლილოში ქლორმა გაჟონა



ლილოს დასახლებაში, სადაც საცხოვრებელი კორპუსების გარდა უამრავი საავტორო და სამრეწველო ობიექტიცაა განთავსებული, ქლორის გაჟონვის შედეგად მოწამლული 73 ადამიანიდან 40 კვლავ საავადმყოფოებში რჩება. როგორც თბილისის მერიის სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა, მოწამლულთა შე-

მოდინება კლინიკებში დილის 06:00 საათამდე გრძელდებოდა. მისივე ინფორმაციით, საერთო ჯამში დედაქალაქის კლინიკებს დასახმარებლად 73 მოქალაქე მიმართა, რომელთაგან დილის 08:00 საათისთვის 33 გაეწერა.

„09:00 საათიდან გაწერის ახალი ნაკადი დაიწყო და ეს პროცესი, დაახლოებით, 2-3 საათში დასრულდება. ყველას დაიბრუნო იყო მსუბუქი ინტოქსიკაცია და ყველა მათგანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, გარდა ერთი პაციენტისა, ნარიმანიძის, რომელიც კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება“, – აღნიშნა მამუკა ქაცარავამ.

ამასთან, ინგოროყვას სახელის ნეიროქირურგიის კლინიკაში ამჟამად ქლორის გაჟონვის შედეგად მოწამლული ხუთი პაციენტი რჩება.

როგორც კლინიკის ემერჯენსის ექიმმა სოსო მაისურაძემ განაცხადა, ორი მოწამლული ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება, რომელთაგან ერთი მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი. მაისურაძის განმარტებით, დანარჩენებმა კლინიკა დილით დატოვეს.

სულ ინგოროყვას კლინიკაში 31 მოწამლული მიიყვანეს, მათ შორის, 13 წლის ბავშვი და ფეხმძიმე ქალი, რომლებიც შესაბამისი პროფილის კლინიკებში გადაიყვანეს. ბავშვი დღესაც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება.

ცნობისათვის: ლილოს დასახლებაში, ერთ-ერთ კერძო საწარმოში ავზიდან ქლორმა 3 ივლისს, დაახლოებით, 21.00 საათზე გაჟონა. მაშველებმა თავდაპირველად ავზის უსაფრთხო ადგილზე გადატანა სცადეს, თუმცა ავზიდან ქლორ-

მა ხელმეორედ გაჟონა. დაზიანებული ავზიდან გამოწვავილი წყლის ჭავლის მეშვეობით გაუფრთხილებს და ავზის ონკანი შეუცვალეს. ამჟამად ქლორის ავზი საქნავთის ტერიტორიიდან დაუსახლებელ, უსაფრთხო ადგილზეა გადატანილი.

სულ მოწამლული 73 ადამიანი. მოწამლულები საავადმყოფოში იმავე დამეს მოინახულეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ჯანდაცვის მინისტრმა სურაბ ჭიაბერაშვილმა.

რეაქციონარებთან – ახლახან ერთი ანგელოტი გაგრცვლდა – როგორ შეასრულებთ თქვენს ხლოვანს "მეტი სარგებელი ხალხს?"

– რეაქციონარები უფასოდ მივეცი ხალხს და ამაზე მეტი სარგებელი რაღა გინდათ! – უპასუხა ვანომ.

ჯგერენაიას “ბიზნესბეზა”



“გავეროპელობამ ფსიქოზის ხასიათი მიიღო. ევროპამ შეგეშალა და ალბათ წაგვშლის კიდევ, თუ ასე გაგრძელდა”
მანხანაძე კოტეტიშვილი

ბატონი ემზარ ჯგერენაია, შვეიცარიის ბუნების ჭკერებით დაკავებული, როგორც რაციონალურად მოაზროვნე კაცს შეჰყვრის, რომანტიკული ლექსების წერის მოთხოვნის გამო კი არ შეიპყრო, არამედ ცდილობს უპასუხოს ცივი გონებით ნაკარნახევ საჭირობებზე კითხვას:

“გეოგრაფიული რელიეფითა და კულტურულ-ენობრივი მრავალფეროვნებით შეფარების მსგავსება საქართველომ რატომ ვერ მიაღწია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობის იმ სიმაღლეს, რაც დღეს არის შვეიცარიაში?”

წერილში “რატომ არ ვართ შვეიცარია” (ეურნალი “ტაბულა”, №105, 18-24 ივნისი, 2012 წელი) ჯგერენაია ამ კითხვას შემდეგნაირად პასუხობს: **ქართველები უფარვისგან ვართ!**

აი, როცა ვისწავლით ვებერის ნაშრომს “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება”, როცა პროტესტანტული ეთიკით ვიცხოვრებთ, მაშინ შეგძლებოთ ჩვენი ბიოლოგიური “სიჩლუნგის” დაძლევა და შვეიცარიის კეთილდღეობის მიღწევა.

ეს არ გეგონათ ჯგერენაიას **Lapsus calami**. იგი დაბეჯითებით, გულმოდგინედ, შეშლილის ახირებით ცდილობს ქართველი ერის დამცირებას, ლაფში ამოთხვრას, მიწასთან გასწორებას, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ცხოვრების წესის მოშლას და მათ მაგიერ პროტესტანტული ეთიკის დანერგვას!

დღეს საკამათო არ არის ის, რომ ევროპაში ჩასახულმა პროტესტანტიზმმა არამც თუ ევროპა გარყვნა, არამედ სოლომონის ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას ჯოჯოხეთისაკენ მიაქანებს.

მთიანი საქართველო “გეოგრაფიული რელიეფით” შეიძლება მართლაც ჰგავდეს შვეიცარიას, მაგრამ “კულტურულ-ენობრივი მრავალფეროვნებით” ამ ორი ქვეყნის შედარება არ შეიძლება.

შვეიცარიაში სამი ოფიციალური ანუ სახელმწიფო ენაა: გერმანული, ფრანგული და იტალიური. გერმანულ ენაზე მეტყველებს მოსახლეობის 65 პროცენტი, ფრანგულ ენაზე – 18 პროცენტი, იტალიურად კი 12 პროცენტი. მოსახლეობის ძალზე მცირე რაოდენობა მეტყველებს აბორიგენების რეტორომანულ ენაზე.

უძველესი ქართული ფუძემდებნი: მეგრულის, სვანურის, მრავალი დიალექტისა და კილოების არსებობა სულაც არ ნიშნავს ენობრივ და კულტურულ განსხვავებას (“შე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუ ქართველის გვარისა”. მანხანაძე).

შვეიცარიაში მცხოვრები გერმანელები, ფრანგები და იტალიელები, მიუხედავად მათი ევროპელობისა, ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ენით, არამედ კულტურითაც განსხვავდებიან. შვეიცარიაში აბორიგენ მოსახლეობას სათვალავში არცა თვლიან, მათ შესახებ სტატისტიკაც არ არსებობს.

ღმერთო, ნუ გადააქცევ საქართველოს შვეიცარიად!

პირველ მიზეზად, რაც “შვეიცარიელობაში” ხელს გვიშლის, ჯგერენაია “ქართველთა ეთნო-ნაციონალურ ხასიათს” ასახელებს.

თავის ამ დასკვნას “ქართლის ცხოვრე-

ბიდან” მოტანილი ციტატით ამაგრებს: “ნათესავი ქართველთაი ორგულ-ბუნება არს...” სომეხი ლეონტი მროველის მიერ ტენდენციურად დაწერილი ისტორია არ გამორიცხავს ქართველთა “ეთნო-ნაციონალური ხასიათის” ტენდენციურ შეფასებასაც...

ჯგერენაია ქართველთა ნაციონალურ ხასიათად დასაჯის და ორგულობას მიიჩნევს. თითქოს არ სმენია ის, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დღემდე ასოვთ გურჯების სიმამაცე და ერთგულება. თითქოს არ იცოდეს ის, რომ ერთგული, უდალტო ხასიათის გამო ქართველებს ასეულობით წმინდანი გვყავს. თუმცა, ამ ფაქტს ეშმაკშენილი ჯგერენაია ქართველების რელიგიური ფანატიზმით ასხნის... არც სუბათაშვილი-იუენის დაუჯერებს. პირველ მსოფლიო ომში ქართველები არაფრით “ჩამოუვარდებოდნენ უმამაცესთა უმამაცესთა შორის – გინდ მტრებს, გინდ თავისიანებს”. “ჩვენ ვხედავთ, რომ არმიის ის ნაწილები, სადაც ქართული ელემენტი სჭარბობდა, არ დაშლილა, არ განუცდია ის რღვევა, რამაც სხვა ნაწილთა კოლოსალური უმრავლესობა მოიცვა”. “დეზერტირობას ჯარის ქართულ ელემენტში საერთოდ ადგილი არ ჰქონია. ეს უდავო ფაქტია”. (ალ. სუბათაშვილი-იუენი “მძლავრის მარწმუნებში”. ქართული მწერლობა, ტ. 22, 2004, გვ. 463-464).

სად არის ქართველთა ეთნო-ნაციონალური ხასიათის ორგულობა და დალატი? ეს თვისება ხომ მაშინ უფრო იქნეს თავს, როცა ომი წაგებულა, არმია იშლება, დეკურტირები მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავენ... საყოველთაო ქოსის დროს სწორედ ქართველ ნაწილები ფრონტის წინა ხაზზე მამაცურად და ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას!

ო, ემზარ, ემზარ! გემინოდეს მართალთა სულელები!

მზისქვეშეთში არ მეგულება თუნდაც “რაციონალურად” მოაზროვნე და “ბიზნესგემით” მცხოვრები კაცი, რომელიც ასე აფურთხებდეს სულში მშობლიურ ერს.

მეორე მიზეზი ის ყოფილა, რომ ქართველები ჩვენს უნიათობას დიდი სახელმწიფოების დამპყრობლურ პოლიტიკას ვებრძობდით.

გამოდის, რომ სპარსეთ-ირანის, თურქეთის, არაბების, მონღოლების გამანადგურებელი შემოსევები, სისხლისმღვრელი ომები საქართველოს არც ეკონომიკურ და არც სახელმწიფოებრივ სიძლიერეს ხელს არ უშლიდა! ხელს უშლიდა ქართველი ერის სიღატაკე და სიჩლუნგე!

ო, ემზარ, ემზარ! მესამე მიზეზი ის ყოფილა, რომ ქართველები ვწუწუნებთ, ნათესავი ერები არა გვყავს, თორემ... (“თითქოს პოლიტიკაში ნათესაობა რამეს ნიშნავდეს” – ე.ჯ.).

მსოფლიო ისტორია სავესა იმის მაგალითებით, როცა რასობრივი და ეროვნული ნათესაობის ნიშნი სახელმწიფოები საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებულან. შეიძლება ეს გაერთიანება არ იყო მარადიული, მაგრამ დადებით როლს უდავოდ თამაშობდა. ზოგჯერ ამგვარ გაერთიანება-მოკავშირეობას არამც თუ სახელმწიფოები, არამედ ერებიც გადაურჩნია ფიზიკური განადგურებისაგან.

რაციონალურად დრბად მოაზროვნე ჯგერენაიამ ალბათ იცის ის, რომ ჩვენი მეფეები უცხო სახელმწიფოთა შაჰებს, სულთნებს, მეფეებს საკუთარ შვილებს ცოლებად ატანდნენ, ან თვითონ მოჰყავდათ ცოლებად მათი ქალები. ამას აკეთებდნენ პოლიტიკის გულისათვის, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

“პატრიოტიზმი ნებისმიერ საფუძველზე პოულობს ნოყიერ ნიადაგს”. – გვასწავლის ჯგერენაია. თუ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის შვილი ხარ, ეს სიამაყის განცდას წარმოშობს, მაგრამ თუ ღარიბ ქვეყანაში დაიბადე და გაიხარდე, მაშინ შენი ვაგლახი სოციალური ყოფა ნაციონალური გამოჩენილობის იდეით კომპენსირდება.

ამგვარად, პატრიოტიზმი მაღალ სულიერ კატეგორიებს კი არ მიეკუთვნება, არამედ იგი დაბალი, მატერიალური,

ფიზიოლოგიური მოთხოვნებით აღმოცენდება!

არ ვიცო, პატრიოტიზმის ჯგერენაიასეული ამგვარი განმარტება ვებერის “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთების” გაველენა არის თუ არა, მაგრამ მარქსიზმის გაველენა აშკარად შეიძინევა.

ვაჟა-ფშაველა წერს: “პატრიოტიზმი უფრო გრძობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონების...” ჯგერენაიას მიხედვით კი დასავლეთელი ადამიანისათვის დამახასიათებელია რაციონალური აზროვნება, გამიზნული, თვლად შედეგებზე ორიენტირებული ქცევები. ამგვარად, მხოლოდ რაციონალურად მოაზროვნისათვის პატრიოტიზმის გრძობა ხელისშემშლელი აღმოჩნდება მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის გზაზე.

ქართველები (როგორც ნებისმიერი ერი) თავისი ისტორიით, თავისი წარსულით ამავსებენ. არა და, რა ვიცოდე ეს სიამაყე “ზარმაცი, არაფრისმკეთებელი, უსაქმური საზოგადოების თვისება” თუ იყო.

“ეინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს დირსეულად ქართულ გმირთა მხარმკლავები? – ვინ მოგვითხრას მათი საქმე უთვალავი საგმირონი...”

ამ სიტყვების ავტორი, ჯგერენაიას კონცეფციით “უსაქმური”, “არაფრისმკეთებელი”, “ზარმაცი” ყოფილა.

ო, ემზარ, ემზარ! **ღმერთი თე მისი-აქონებას!**

ერის მამების განქიქებაში ემზარი მარტო არ არის. ერთი ჭკუისკოლოფა პოლიტიკოსი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას იწუნებს და სამაგიეროდ ემზარ ჯგერენაიას ნაშრომს ქართული სუფრის შესახებ, პლატონის “ნადიმს” ადარებს.

ქართული მსფერო “მეცნიერული” შესწავლის შემდეგ ჯგერენაია აკეთებს კატეგორიულ დასკვნას: “ქართული სუფრა ფორმით პოპოლარული სუფრა და შინაარსით ტრაგიკეტროსექსუალურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი, ანუ ქალის ცუდი შემთხვევა”.

ეშმაკშენილი ჯგერენაია ქართულ ქიფს “გეიფს” ეძახის, ანუ გეიშების ღმერთს. ამიტომაც ისმის ქართულ სუფრაზე “მომენტატე, ამო”, “ჩავეხეტო ერთმანეთს”, “მიყვარხარ”...

ბატონ ჯგერენაიას არც მითები მოსწონს, რადგან იგი “მორალური პასუხისმგებლობისაგან” გვათავისუფლებს. კერძოდ, მხედველობაში აქვს ამირანის მითი. “კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანის კონცეფცია... ყოველ ჩვენგანს სოციალური და, გნებავთ, მორალური პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს”!!!

“ჰოი, გონება მხეცთა უმძინეარესი!”

თუ გავსურს შვეიცარიელებს დავემსგავსოთ, მაშინ არავითარი მითოსი, რომანტიზმი, პოეზია, ოცნება, ფანტაზია... ამ ატავიზმებს უნდა დავეუპირისპიროთ “რაციონალური აზროვნება, გამიზნული, თვლად შედეგებზე ორიენტირებული ქცევები... რომელსაც დასავლელი ადამიანის ცხოვრებაში “დღის წესრიგის” ფორმა აქვს”.

ჯგერენაია უკვე რამდენიმე წელია ილია მართლის უნივერსიტეტში კითხულობს კურსს: “ეებერი. პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება”. როგორც თავად გვამცნობს, სტუდენტები კითხულობენ ტექსტს და შემდეგ დისკუსია იმართება. ვებერის კონცეფციით კი, რაციონალიზმი გულისხმობს ცხოვრების დაგეგმვას, “დღის წესრიგს”... ჯგერენაიას თავისი სტუდენტები გამოუკითხავს და აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ოცნებობს, მაგრამ არცერთ მათგანს მიზნის მისაღწევად საკუთარი “ბიზნესგეგმა” არა ჰქონია.

“ბიზნესგეგმის” არქონება კი ქართული კულტურის ადამიანთა თავისებურებაა. “ეს გამოარჩევს ჩვენს კულტურას დასავლური ევროპული კულტურისაგან,” – ასკენის ჯგერენაია.

“ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო,

მობიზინეო, შეგებით მოზირნო, ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, ოდეს შეგნება შენი იხილოს, რომ თქვენს ბუნებში არა ჩამოხდეს, რაც უნდა გზასაც ეშუებოდეს, როგორ იქნება არ განისვენოს? სამჯერ ხომ მინც გადაჰკრავს ღვიწხოს,

ცხენს მოაძიებს, თვალს მოატყუებს, გამოიღვიბებს – შუბლს განიგრილებს, ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს, არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს, და მერე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის აღარ დაღონდეს!”

აბა, რა “ბიზნესგეგმა” ექნებოდა ამ შედეგის დამწერს? “ბიზნესგეგმას” ვინ ჩივის? რა უნდოდა ბუნებში ღვიწხისმსმელ ქართველს, თუ არა თანამეინახეობისადმი სექსუალური ლტოლვა?

ო, ემზარ, ემზარ! ახლა ვნახოთ, რას სწერს “ბიზნესგეგმის” მქონე ევროპელებზე და ევროპულ კულტურაზე სერბი არქიმანდრიტი იუსტინე: “ნივთების მოყვარული ევროპელი ადამიანი თვითონაც ნივთად გადაიქცა. პიროვნება გაუფასურებული და გაცამტვერებულია ევროპაში, დარჩა ოდენ უსიცოცხლო, უსულგულო ადამიანი-ნივთი... ევროპულმა კულტურამ სულისაგან განმარტვა, განივითერა, გამატერიალურა ადამიანი, რადაც საშინელ მანქანად გადააქცია იგი; და, აი, ევროპული კულტურა ახლა ურჩხულისმაგვარ საზარელ მანქანად წარმოსდგება ჩვენს წინაშე, რომელიც შთანთქავს ადამიანებს და ნივთებად გადაამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მიიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულა უსულო საგნებს შორის” (არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი, “მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი”. წიგნი “სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა”, ტ.5, 1995. გვ.118).

ნიუ-იორკში, ბროდვეიზე მოსივრნე რუსი პოეტი მაიაკოვსკი გაოგნებულია დასავლური კულტურის მიერ ადამიანის სულიერი გადაგვარებით. რიგითმა ამერიკელმა ერთი წამით კვების დეჭვა თუ შეაჩერა:

“შევისტყვება: “შეკ მონეი” (ფულს აკეთებ?) “თუ დედამ მკერდი მისცა თავის თოთოს და უძღურს ცხვირზე წვეთებით, იგი უტბებს სიამეს იძენს, სწოვს, თითქოს იყოს ეს დროლარი და არა ძუძუ – თითქოს აკეთებს სერიოზულ საკუთარ ბიზნესს”.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს “ბიზნესგეგმიანი” ჩვილი ადამიანურობის დაკარგვის შემზარავი სურათია.

რას ვეთავაზობს ჯგერენაია? მას სურს საქართველოში დაინერგოს ეროვნული ნიჰილიზმი და შემდეგ ქართველი კაცი გადააქციოს “ბიზნესგეგმის” მქონე უსულგულო რობოტად, რომელიც “თვლად შედეგებზე ორიენტირებულ ქცევებს” შეასრულებს.

ეროვნული კულტურა, ტრადიციები, კოლხური ზრდილობა, კაცთმოყვარეობა, მოყვანისადმი უანგარო დახმარება, სამშობლო, პატრიოტიზმი, ეროვნება ადამიანი-რობოტისათვის უცხოა!

როგორც ერთმა დიდმა ქართველმა ბრძანა: “ეროვნება არა აქვს მხოლოდ ცხოველს”.

ავლაგამოთ სულგაყიდული ეშმაკშენილები!

თენგიზ კუბლაშვილი

რედაქციისათვის – როცა ურნაში წლების განმავლობაში ხალხი აფურთხებს, შემდეგ მსსში წყალს ჩაახსამ და აადულებ, უპირველესად თავზე ქაფი მოადგება. სწორედ ამგვარ ქაფს არიან ამოყოლილები ჯგერენაიები და მსგავსნი მათი, რომელთა თავხედურ პარაზას მალე მოეღება ბოლო!

კულტურის ზედიზე

მიმდინარე წლის 21 ივნისს, ზუგდიდში, ყოფილი ენგურქალაქკომბინატის კულტურის სახლში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რომელთა შორის ახალგაზრდები სჭარბობდნენ. ეს გასაგებია – ცხოვრების პრობლემებით დამძიმებულ მსოფლიო ადამიანებს კულტურულ ღონისძიებებზე დასწრების ხალისი დიდი ხანია გაუქარწყალა საქართველოს ნაციონალურმა ხელისუფლებამ. მაყურებელთა დარბაზში, როგორც იტყვიან, ნემსიც კი არ ჩავარდებოდა. სწორედ ასეთი ხალხმრავალი მაყურებლის თანდასწრებით გაიხსნა ქართული სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი „ზუგდიდი-2012“, რომელიც 2000 წლიდან ტარდება.

ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ „საქართველოს ფილარმონიის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი“. ღონისძიება მიჰყავდა ხეინა ახალაიას, რომელმაც სცენაზე მოიწვია ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფენიქსი“, რომლის წევრთა ცეცხლოვანმა ცეკვებმა აღტაცებაში მოიყვანეს მაყურებელი.

შემდეგ კულტურის სახლის სცენა დაიკავეს დაბა ჯვარის ქორეოგრაფიული ანსამბლის „სამა“-ს წევრებმა, რომელთა კვალდაკვალ სცენაზე გამოჩნდნენ წალენჯიხის ანსამბლ „იმედი“-ს შემსრულებლები. მაყურებელთა ტაში არ შეწყვეტილა მაშინაც, როცა სცენაზე თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ ხობის მოსწავლეთა სახლის ანსამბლ „ლაზიკა“-ს წევრები. ასევე დიდი ესთეტიური სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს ოზურგეთიდან სტუმრად ჩამოსულმა ანსამბლ „ოცნებისა“ და „მანანურის“ შემსრულებლებმა. ხოლო ამ გალაკონცერტის გვირგვინი გახლდათ განმეორების საესტრადო ჯგუფის მიერ შესრულებული ნომრები.

გამარჯვებულების გამოვლენა თბილისიდან მოწვეული კომპეტენტური ჟიურის ფუნქცია გახლდათ, რომელსაც მიუხედავად მონაწილეთა სიმრავლისა და პროფესიონალიზმისა, გამარჯვებულის გამოვლენა არ გასჭირვებია. ქორეოგრაფიული ჯგუფებიდან სპეციალური „გრანპრი“ დაჯილდოვა ოზურგეთის ანსამბლი „მანანური“.

პირველი ადგილი დაისაკუთრა ზუგდიდის შემოქმედებითმა კოლექტივმა „ფენიქსმა“, მეორე ადგილზე კი გავიდა ჯვარის „სამა“. მესამე ადგილს დაეუფლა ხობის „ლაზიკა“.

საესტრადო ანსამბლებს შორის კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდა და სპეციალური ჯილდო – „გრანპრი“ გადაეცა თბილისიდან მოწვეულ ვოკალურ სტუდია „იმედი“. აქაც პირველი ადგილი „იმედიმ“ დაიკავა, მეორე ადგილი – ზუგდიდის „ვესტ-ჯორჯიაში“, მესამე ადგილზე კი გავიდა სენაკის ვოკალისტთა სტუდია.

უნდა ითქვას, რომ ზუგდიდის ფესტივალისადმი მონაწილეთა ინტერესი და წრე თანდათან იზრდება. მაგალითად, 2010 წელს მასში მონაწილეობა მიიღეს რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, მოლდავეთიდან და თურქეთიდან მოწვეულმა თვითშემოქმედების ანსამბლებმა, რაც თავისთავად მეტყველებს ღონისძიების ავტორიტეტზე.

მალერი ჩაპრაბა, ზუგდიდი

“მას მხოლოდ დიდი ფული უყვარს...”

საქართველოში ე.წ. ინჟინერის რესპუბლიკის ყოფილმა საგანგებო წარმომადგენელმა ხიზრი აღდამოვმა, რომელიც თბილისიდან გროზნოში დაბრუნდა და ჩვენთვის პატივს სთხოვა, განაცხადა – 90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლება, ეღუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, „ბოფიკებს“ რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების ჩატარებაში ეხმარებოდაო.

„საქართველოში შექმნილი იყო ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც ყველაფერს კისრულობდნენ. რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ჩვენთვის მემხდარი ტერაქტების უმეტესობა სწორედ საქართველოდან ხორციელდებოდა“, – განაცხადა აღდამოვმა. მისი თქმით, ახლანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იმ ხალხის მოსპობას შეეცადა, რომლებმაც „ბოფიკებზე“ რაიმე იცოდნენ. „სააკაშვილი და სპეცსამსახურები აპირებენ ე.წ. ინჟინერის მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნას, რათა მათი მეშვეობით რუსეთზე ზეწოლა მოახდინონ და ჩვენთვის ტერორისტული დაჯგუფებები გაააქტიურონ, – ამბობს აღდამოვი, – მომავალი მთავრობა ჩაერთვება „პანკისის ჯამაათის“ საქმიანობაში, რომელიც აშშ-ის და ახლო აღმოსავლეთის ფინანსური დახმარებით ტერორისტულ აქტებს აწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში“. ეშ-მს-ბმ არ გამორიცხავს, რომ აღდამოვი შეიძლება დასავლეთის სპეცსამსახურების აგენტიც აღმოჩნდეს, ამიტომ მას თვალყურს ადევნებენ, ჩვენთვის პრეზიდენტმა კადროვმა


კი უთხრა, – მიხარია, რომ შეცდომები აღიარე, მჯერა, ჩვენ ხალხს გამოადგებიო.

– საქართველოში დუღაევა გამგზავნა 1992 წელს, აფხაზეთის ომის დროს, სადაც აფხაზებთან და რუსებთან ერთად ჩვენებიც იბრძოდნენ. მითხრა, – საქართველოში ადამიანის უფლებების დამცველ აპარატს უნდა უხელმძღვანელო. საქართველოში მყოფ ჩვენებსა და ქისტებს ვეხმარებოდი, შევარდნაძესთან კავშირიც მქონდა... ჩვენთვის მეორე ომის დროს საქართველოს ბევრი ლტოლვილი მიაწვდა, მათ შორის „ბოფიკებიც“. საქართველომ მაშინ მხარი დაგვიჭირა. ჩემთვის არ უთქვამთ, რომ იარაღი ჰქონდათ, მაგრამ შესაძლოა ქართველები ამაშიც ეხმარებოდნენ.

ტერაქტები, რაც იმ დროს ჩვენთვისა და რუსეთში ხდებოდა, საქართველოდან იმართებოდა.

ჩემ გარდა ეს არავინ იცის. ამას საქართველოს სპეცსამსახურები აკეთებდნენ და აკეთებენ. სპეცოპერაციებს ხელმძღვანელობდა ქართული ანტიტერორისტული ცენტრი ლევან კენჭაძის მეთაურობით. მერე სააკაშვილმა ეს სტრუქტურა მოსპო და ყველა საკითხს კურირებდა ვიო გაბუნიას (სწავლება გაიარა ცსს-ში, იყო საქართველოს კონტრაზვერვის უფროსი). მან ერთ სტრუქტურაში შეკრიბა ყველა ჩვენნი დევნილი „ბოფიკი“, შექმნა რამდენიმე ჯგუფი: შამილის, გელაევის, ისაბაევის (პუსეინი), ძმები აჰმადოვების და დავალებებს აძლევდა: ეს იყო, მაგალითად, ომის

წამოწყება ან ვიღაცის მოშორება – უშვებდა ბასაევის ჯგუფს; ადამიანის გატაცება აჰმადოვის ჯგუფს ევალებოდა, ვიღაცის საიდუმლოდ გასანადგურებლად ისაბაევის ჯგუფს იყენებდა... მე იქ ვიყავი და ვხედავდი, რაც ხდებოდა, რამდენი უცხოელი მოიტაცეს. მათი ნათესავები შევლას მე მთხოვდნენ. ყველაფერ ამას განაგებდა ვიო გაბუნიას. სააკაშვილი რომ მოვიდა, იმედი მომეცა, ჩვენებს მიხედავს-მეთქი. ამის შემდეგ მალევე მოგვამდგეს მე, ჩემი შვილი და ბიძაშვილი. ეს მისმა სპეცსამსახურებმა გააკეთეს გაბუნიას მეთაურობით, თუმცა ბრალი რუსეთს დასდეს. მერე სააკაშვილმა მუსლიმანურ ქვეყნებში დაიწყო სიარული და მოლაპარაკებები, რომ იმ ფულს, რომელსაც მოჯაჰედებს საომრად აძლევდნენ, თვითონ გაანაწილებდა. მას ჩვენები არ უყვარს, მას ფული უყვარს, დიდი ფული...



რა ხდება რეალურად ღელს ჩვენს ეკონომიკაში?

საქართველოს ეკონომიკა დღეს კატასტროფულ მდგომარეობაშია. სტატისტიკა, რასაც სახელმწიფო იძლევა და „ცხვება“ იმ უწყებებსა და დეპარტამენტებში, სადაც დაინტერესებული ძალების დაკვეთით სიცრუე და ტყუილი იქმნება, ნამდვილად არ ასახავს რეალურ სურათს და სასაცილოდაც არ ეყოფა გამოცდილ ეკონომისტს ან ფინანსისტს.

ამ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია ფინანსური და ეკონომიკური ფორმულებით, და შედეგად მიიღებ იმას, რომ დღეს რა სტატისტიკაც ოფიციალურად გვაქვს ეკონომიკასა და მის სიძლიერეზე, გამოდის, რომ 2+2 არის 7! ეს გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან ცუდია, რადგან ტყუილი ყოველთვის გამოჰდევნდება და უმრავი ეკონომიკური და ფინანსური ფორმულა არცხობს, რითაც შეიძლება ამ ტყუილებს გამოაშკარავება და უზუსტობის დამტკიცება.

ერთ-ერთმა წარმატებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (წეროს მალევე განვითავს აქ – ავტ.) საქართველოში უმუშევრობა 47%-ზე გამოთვალა. იყო სხვა ფორმულირებებიც, რომლებიც უმუშევრობას ქვეყანაში 41%-დან 57%-მდე ზრდიდა. ჩვენ კი ხან დანიას ვუსწრებთ, ხან შევდეთ და შეიძლება სულ მალე იაპონიის ეკონომიკასაც გაუუსწროთ, თუ ვენდეთ ქვეყნის მმართველ გუნდს.

ამაზე უარყოფითი ის ფაქტია, რაც სოფლის მეურნეობის დარგში ხდება. ქართველი გლეხი „გარდების რეკოლუციამდე“ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე დღეს. დღეს, ფაქტობრივად, გლეხი მოაცილეს მიწას, აუკრძალეს შემის მოჭრა, საქონლის დაკვლა და ადგილზე გაყიდვა. იმდენი დაბრკოლება შეუქმნეს გლეხს, რომ ის უკვე აღარ არის დაინტერესებული, გასაყიდად პროდუქტი ანაბანოს, მოუაროს მოსავალს და გააგარძელოს ის თაობიდან თაობამდე გადაცემული შრომა და მიწათმოქმედების ტრადიციები. ამიტომ არის მკვთო ფასების ზრდა კვების ყველა პროდუქტზე, რადგან დიდი ნაწილი იმპორტია და ჩვენი გლეხი ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც კი ვერ ახერხებს.

ყოველი ეკონომიკური სვლა და კურსი უნდა იყოს ეროვნული და მიმართული მრეწველობის განვითარების სტრატეგიისკენ, რომ ქართველი გლეხი კონკურენტუნარიან გარემოში იყოს, ქართული ბიზნესი სახელმწიფოსგან პრივილეგიებით სარგებლობდეს, რომ ინვესტორსაც იმის ინტერესი ჰქონდეს, ქართველ მეწარმესთან ერთობლივად წამოიწყოს ახალი საინვესტიციო პროექტი. მართლ „ბორჯომით“ და ღვინით ქვეყანა ვერ აშენდება, რადგან საშუალო ფენა, ფაქტობრივად, არ არსებობს, და თუ არსებობს, ის დაუცველია და ფეიქალიზმის ხანაში ცხოვრობს.

ჩვენ უკან დავიხიეთ ბატონყმობისკენ და მონოპოლია, ეკონომიკური მონათმფლობელობა გაგხადეთ კანონიერი; შრომის კოდექსი თითქმის არ არსებობს და ის, რაც არსებობს, მხოლოდ ქალაქია; არ არსებობს საშუალო ფენის განვითარებაზე მიზანმიმართული ეკონომიკური კურსი, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური პერსპექტივისათვის აუცილებელია.

ღელს წესრიგში მხოლოდ პრივატიზაცია და ბევრი საპრივატიზაციო მიწა გადაეცა მხოლოდ სიმბოლურ 1 ლარად თურქ და სომეხ ინვესტორებს.

მოდით და საერთოდ უფასოდ მივცეთ მიწა ქართველ ინვესტორს, ვინც ხალხს დაასაქმებს, თანაბარ პირობებს შეუქმნის და 3 წელი გადასახადებისაგან გაავთავისუფლოთ. ქართული ბიზნესი უნდა ავალრიდინოთ, თორემ დავრჩებით თურქი ფაშების კარზე მუშებად და ვასალებად...

დასაქმების ახალი მიზნობრივი ინსტრუმენტების ქარნაქიზული ხილის ავტორია

ახლადღანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა, გლდანში პროფესიული სწავლების მშენებარე ცენტრთან, დასაქმების ახალი მიზნობრივი პატივ ტრადიციის კანდიდატურა წარმოადგინა.

პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, ტრადიციულ წარმატებული ბიზნესმენია, მან 700-მდე ადამიანი დაასაქმა (უფრო მართებული იქნებოდა ეთქვა, რომ მათ დასაქმა თავზე) და სხვადასხვა კომპანიებში მილიონობით დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

ტრადიციულ კომპანია „კავკასუს როულ პროდუქტ“-ის დირექტორია, რომელიც 2005 წელს დაარსდა და მისი ძირითადი საქმიანობა გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობაა. 2005-2011 წლებში აღნიშნული კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა:

- თბილისის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტები (2005 წელი);
- საქართველოში პირველად, ბეტონის-

საფარიანი ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტი. ნატახტარი-აღიანის 16კმ-იან მონაკვეთზე, გერმანულ ინსტრუქტორებთან ერთად, ბეტონის ოთხზოლიანი გზის დაგება (2006 წელი);

- გერმანულ პარტნიორობთან ერთად, ჩქაროსნული გზატკეცილის მომდევნო, აღიანი-იგოეთის 12კმ-იან მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები (2007-2009 წწ.);

- პირველი ცემენტობეტონის გზის დაგება სოფელში. ექსპერიმენტული პროექტის „ბეტონის გზები სოფლად“ ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ქვედა სამების – ზედა სამების დამაკავშირებელ 4კმ-იან გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა (2009 წელი);

- თბილისში – ვარაზის ხეივანთან მარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. პირველი ცემენტობეტონის გზა ქ.თბილისში, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდა (2009-2010 წწ.); თავად კომ-

პანია ამ პროექტს ყველაზე თვალსაჩინო და მასშტაბურს უწოდებს.

- ქ. რუსთაველი საავტომობილო რბოლის ტრასის მშენებლობა (2010 წელი);

- მესტრის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ცემენტობეტონის საფარის მოწყობა (2010 წელი);

- ქუთაისში მთავრობის სახლის მშენებლობა; (2010 წელი);

- ფხვი მონსიარულითა ხიდის მშენებლობა ანაკლიაში (2010 წელი);

ანაკლიის ხიდის ხის კონსტრუქცია, რომელიც 2011 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა სახელმძღვანელოდ, ღონისძიებიდან რამდენიმე დღეში, ქარმა დაშალა, რის შემდეგაც ის უფრო მეარი კონსტრუქციებით ხელახლა ააწყვეს.

კურორტის გახსნა ფეიერვერკით და კონცერტით აღინიშნა. ესპანურმა არქიტექტურულმა კომპანია CMD Ingenieros-მ, ანაკლიაში საკურორტო ინფრასტრუქტურის დაპროექტებისთვის, კომპანიის

მონაცემებით, 16,5 მილიონი ევრო მიიღო.

ხის ხიდის აგების აუცილებლობას კომპანიის მთავარი ინჟინერი, ირაკლი ბაქუნიანიშვილი, ახალი ხიდის ასაგებად მუშავის სადგომი ადგილის საჭიროებით ხსნიდა.

- „ეს, გერმანელმა არქიტექტორებმაც გეთხრეს...“ – ამბობდა ის. ბაქუნიანიშვილის თქმით, ხიდისთვის საჭირო ხის მასალა, ქუთაისის ქარხანაში ააქვო და ხის ხარისხიდან გამომდინარე, გამოძლეობა სუსტი ჰქონდა.

კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ანონიმურობის გარანტიით გვესაუბრა, აცხადებდა, რომ აღნიშნული ხიდის მშენებლობა 4 თვე მიმდინარეობდა და მხოლოდ ხის კონსტრუქციაზე 1,5 მლნ. ლარი დაიხარჯა. ამას დამატებული ამ თვეების მანძილზე, მშენებლობაზე მომუშავე იმ 150-ზე მეტი ადამიანის შრომის ანაზღაურება (საათში 3 ლარი). მისი თქმით, ეს ერთი ღელს სანახაორობისთვის გაკეთდა და ეს თანხა წყალში ჩაიყარა.

ე. ალფაიძე

საქართველოს უზუცესთა დარბაზი – ქართველთა დღევანდელი სატკიპარი



ასიათასობით, შეიძლება ითქვას, მილიონობით ქართველი იმპროვიზირებულად იყვანა ივერიის ყოველი გოჯი მიწის დაცვას, რომ იგი ყოველდღე დაეხმარებოდა ღვთისმშობლის წილხვედრია, სულიწმიდის ქვეყანა, იბერთა სამკვიდრო.

ამიტომ საკრალურად, გნებავთ მისტიკურად, აკრძალულია ამ მიწის არაბერძენულზე გახსენება, გაყიდვა ან ვინმეს მიერ მიტაცება-მოთხოვნა.

საქართველო რადგანაც სულიწმიდის ქვეყანაა და ღვთისმშობლის წილხვედრია, იგი ღვთის ტაძარია. და როგორც ღვთის ტაძარს არ შეიძლება თუნდაც ერთი კენჭი მოაკლო, ასევე არ შეიძლება მოაკლოს ვინმემ ივერიას მცირე ალაგიც კი იმ ფარგლებში, რომელშიც ღვთისმშობელს ხვდა წილად. ეს

პიროვნული, სუბიექტური მოსაზრება როდია, არამედ ღვთაებრივი კანონზომიერებაა. სამყარო ცოცხალია, რადგან მას მართავს სულიერება – ღმერთი. იგი ყველას აძლევს დაფიქრების დროს მონანიებისათვის, რადგან კაცთმოყვარეა. მაგრამ გამოსწორებისათვის მიცემული ჟამის გასვლის შემდეგ გამოუსწორებელს საშვილისშვილოდ მკაცრად განიკითხავს.

შინაურმა და გარეშემაც მიიღოს გაფრთხილება: ღვთის კანონები შეუვალია!

საქართველოში წამყვანი რელიგია იყო, არის და იქნება მართლმადიდებლური ქრისტიანობა. რატომ? იბერებს ოდიოვანი პქონდათ გაცნობიერებული, რომ სამყაროში მოქმედი ყველა კანონი ღმერთის მიერ არის შექმნილი და ნებისმიერი ქმედება, რაც ამ კანონებს ეწინააღმდეგება, ანტიღვთიურია.

ჩვენ შეგვიძლია მეცნიერებისა და რელიგიის შეჯერებით განვიხილოთ ყველა ეს კანონი, მაგრამ ამას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამიტომ, მოკლე ვაცხადებთ: ქრისტეს მოძღვრება, რომელსაც ახალ აღქმაში გადავსცემთ მსოფლიოში, მთლიანად პარმონიაშია სამყაროს კანონებთან. და ამ კანონებს იცავს მართლმადიდებლური ქრისტიან-

ული რელიგია. მაშასადამე, იცავს ერს ყოველგვარი სახის მანკიერებისაგან. სექტები კი ამა თუ იმ კანონთან წინააღმდეგობაში ქცევიან. ადამიანის სულის განკითხვა ხომ ღმერთის მიერ შექმნილი კანონებით შედგება! ჩვენი სურვილია, განკითხვის ჟამს ყოველი ადამიანის სული მართალი წარსდგეს. ამიტომ ცლომილებს აყოლილი სექტანტები ვერ შეძლებენ მართლმადიდებლობაზე ექსპანსიას. მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია ზემოთ ივლის დედამიწაზე, რადგან იგი ჭეშმარიტად იცავს მის სულიერ და ინტელექტუალურ კელოვებას.

ჩვენ პატივს მივაგებთ მუსულმანთა მოციქულ მუჰამედს, იგი აღმატებულად მოიხსენიებს უფალ იესო ქრისტეს და, განსაკუთრებით, ყოვლიწმიდა ღვთისმშობელს. ჩვენ გვყავს მუსულმანი მომხრე ქართველები და მათი აღმსარებლობის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ამიტომ, ამ ფონზე, საქართველოში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ახალი მენეთების მშენებლობა, რაც საზოგადოებაში რელიგიურ ექსპანსიად აღიქმება. ჩვენ ასევე პატივს მივაგებთ ბუდისტებს, მაგრამ 100 ათასი ქართველი მოწამის წმიდათაწმიდა ადგილზე ბუდაბარის აშენება მიუტკეველები

მერეხელობაა, არა მხოლოდ ამ წმინდანთა ხსოვნის, არამედ მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფაა.

სადღესოდ არა მხოლოდ მამული, ენა, სარწმუნოება გაგვიხდა დასაცავი, არამედ ქართველი ერის დემოგრაფიული მდგომარეობაც. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პარტიას თუ პოზიციას-ოპოზიციას ეკუთვნის, მთლიანად საქართველოში რატომ არ არის გამოცხადებული განგაში იმის გამო, რომ მსოფლიო ცივილიზაციის მოთავე ქართველი ერი შეტანილია მომაკვდავ ერთა სიაში? შემაძრწუნებელ პრობლემას მანც პარტიული დისკუსიები და ბრიფინგები სჭირდება?

ერის დემოგრაფიული მდგომარეობა პირდაპირ კავშირში არის ეკონომიკასთან. ცარიელია საარჩევნო სლოგანი: **დასაქმება! დასაქმება! დასაქმება!**

მაგრამ როგორ? ახალი საწარმოების მასიურად შექმნით. როგორც ქალაქად, ისე სოფლად, საწარმოებისა, რომელთა თანამონაწილენი და მეშველები თანამფლობელები იქნებიან საქართველოს მოქალაქეები. ეს არის ეკონომიკური ბაზისი, საძირკველი. სხვა ყველაფერი ზედნაშენია. ეკონომიკური ბაზისის შექმნის გარეშე ქვეყანა ვერ მოიპოვებს ფინანსურ-ეკონომიკურ

და, ბუნებრივია, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მუდამ დარჩება საგარეო ვალების მარწუხებში, მუდამ დარჩება იმპორტიორად, სხვისი დახმარების მომლოდინე.

ამ საყრდენზე უნდა აიგოს საქართველოს მთლიანი ინფრასტრუქტურის განვითარების საშინაო პრიორიტეტები და საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკა. გვაიმორჩევს მხოლოდ კეთილი ნება, ქართველი ხალხის აზრი და სურვილი.

ამ პრობლემათა მოგვარება არ არის მარტო ერთი და ორი წლის საქმე. ამიტომ საქართველოს მთავალ ხელისუფალთ მოუწევთ ძალზე გონივრული, თანმიმდევრული და მკვეთრი ღონისძიებების გატარება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მოგვარებას ეროვნული ხელისუფლება სჭირდება, რომელსაც ქართველებთან ერთად ელოდებიან ოსები და აფხაზები.

თანამემამულეო! სიტყვა თქვენზე! ხედავთ, ოცნების ნიაგმა დაუქროლა მამულს!

როლანდ ნიშარაძე,
საქართველოს უზუცესთა დარბაზის აღმასრულებელი მდივანი

ბააკა თოღუა: ისტორიულად საქართველო ფედერალური სახელმწიფო იყო

სახელმწიფოებრივი მოწყობის უნიტარულ და ფედერალურ ფორმებს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს როგორც ქვეყანა უნდა იყოს საქართველო? ამ საკითხზე დღეს დიად არაგინ საუბრობს, თუმცა ქვეყნისათვის, რომელიც დემოკრატიის გზას დაადგა (თუ უნდა დაადგეს), უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ფედერალური სტრუქტურა? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს ქრთველი მოძრაობის ძირძველი აქტივისტი, ზუგდიდელი ინჟინერ-ეკონომისტი ბააკა თოღუა.

– ბატონო ბააკა, როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დაიყოს საქართველო ფედერაციულ სტრუქტურებად?

– საქართველო ისტორიულად ყოველთვის ფედერალური ქვეყანა იყო. საქართველოში არსებული ფედერაციის სუბიექტები ქმნიდნენ ერთიან სახელმწიფოს. აუცილებელია, საქართველოში ყველა კუთხეს გააჩნდეს თანაბარი უფლებები. უნდა მოიძებნოს ძირძველი ქართული სახელი, თუნდაც საეროები: აფხაზეთის საერო, სამეგრელოს საერო, კახეთის საერო და ა. შ. სულ შესაძლებელია არსებობდეს საქართველოში შეიდამდე საერო. მე მიმაჩნია, რომ ქვეყნის მშენებლობა უნდა დაიწყოს ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობის განსაზღვრიდან. ყველა ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის ერთიანობა, ერთიანობა კი არ უნდა ემყარებოდეს ცენტრალური ხელისუფლების ხრიკებსა და ოინებს. უკვე 21-ე საუკუნეა და ქვეყნის ერთიანობა უნდა ემყარებოდეს ისტორიულ სინამდვილეს, სამართლიანობას, ტოლერანტობას. ქვეყნის ერთიანობას მართლდენ კონსტიტუცია ვერასოდეს ვერ განსაზღვრავს. მხოლოდ ფედერაციული სტრუქტურას შეუძლია შეინარჩუნოს ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა, ისე, რომ ამ დროს არ ხელყოს მისი შემადგენელი ერთეულების ისტორიული, კულტურული, რელიგიური, ტერიტორიული თუ ენობრივი თავისებურებანი.

თუ კარგად ავწონ-დავწონით ფედერალიზმის პლუსებსა და მინუსებს და გავითვალისწინებთ, რომ დღეს მრავალეროვან საქართველოში, როდესაც არ არსებობს მისი ერთიანობის ძლიერი ფაქტორები, ერთადერთ სწორ გზად მისაღებაა ფედერალური მოწყობა. მხოლოდ ფედერალიზმი აქმნის იმის შესაძლებლობას, რომ იყოს გამაწონასწორებელი, რომელიც ერთნაირად აძლევს საშუალებას ყველა მის შემადგენელ ერთეულს, განვითარდეს თავისი საკუთარი პრინციპების მიხედვით და სხვასაც მისცეს საშუალება, განავითაროს თავისი თავი.

– ბევრი ფიქრობს, რომ ქვეყნის ფედერალური მოწყობით რუსეთია დაინტერესებული და ეს რუსული გეგმაა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ეს არის აბსურდი. საქართველოს უახლოეს ისტორიაში რუსეთს მრავალჯერ გააჩნდა ამის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არ გაუკეთებია, რადგან მას ეს არ სჭირდება. ჩვენს დაუკითხავად მათ ახლაც შეუძლიათ, რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგრამ არ აკეთებენ.

– ბატონო ბააკა, რამდენად ჰყავს ამ თქვენ იდეას მომხრეები საქართველოში?

– ამ იდეას მომხრეები ჰყავს, მაგრამ მთავარი საკითხი

ამ იდეის პოპულარიზაციაა. როგორც კი ამ იდეას სწორად მივაწვდით ჩვენს მოქალაქეებს, მას 80% მოიწონებს. თუ სწორად შევხედავთ ფაქტებს, რეალობას, ისტორიას, ისეთი არაფერი მოხდება, რაც ევროპის ქვეყნებში არ მომხდარა და არ ხდება. ჩვენ ახალი ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება. საუბარია სწორ მიდგომაზე საკითხისადმი და ეს ის საკითხია, საიდანაც იწყება ქვეყნის მშენებლობა. ეს საკითხი კი არასოდეს აინტერესებდა არც ერთ ხელისუფლებას. დღევანდელი ხელისუფლება კი ისეთი ნაბიჯის გადადგმაზე ორიენტირებული, რომლის მიზანიც ქვეყნის ექსტრემისტულ ლიანდაგზე გადაყვანაა.

– რა გეგმით მხედვართან?

– ეს ეხება ახალი ქალაქის მშენებლობას, რომელსაც სახელად „ლაზიკა“ დაარქვენ. არ ვიცი, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში, ისეთ მონოთენიკურ კუთხეში, როგორც სამეგრელოა, რომელსაც თვითონ არ გააჩნია არანაირი ავტონომიური სტატუსი, ქმნიან ავტონომიურ ქალაქს. მე მინდა შევასხენო მავანს, რომ მსგავსი სიტუაციის შედეგად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ვის აძლევენ ასეთ უფლებებს, ისიც არ ვიცი და ვინ იცნობრებს ამ ქალაქში, არც ის.

– რამდენად შესაძლებელია ამ იდეის განხორციელება?

– ტექნიკურად ეს ძალიან იოლია. არათუ ჭკობზე, არამედ ოკეანის ქვეშ შეუძლიათ ახლანდელი ტექნოლოგიებით ქალაქების აშენება. მთავარია მიზანი. ლაზიკის აშენებას არავითარი ეროვნული მიზნები არ გააჩნია. სახელიც ვერ შეურჩიეს შესაფერისი. ლაზიკის აშენება ანტიეროვნულ მიზნებს ემსახურება, ეს უკუღმა დაგვემდლი ქალაქია და ჩვენთვისაც უკუღმართი იქნება. საგულისხმოა ისიც, რომ ფორსირებულად მიმდინარეობს დაგეგმარება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნატოს გენშტაბი დაინტერესებულია, შავ ზღვაზე აქონდეს დასაყრდენი, მითუმეტეს როცა სევასტოპოლში რუსეთის სამხედრო საზღვაო ბაზაა, მე არ გამოვიცხავ, რომ აქ დაგეგმილი იყო ნატოს საზღვაო ძალებისა და წყალქვეშა ნაგების სადგომი. მაშინ ჩვენ მივიღებთ ასეთ ფორმულას: საქართველოში არის ნატოს სამხედრო ბაზა. საქართველო არ არის მთლიანი, აფხაზეთი რჩება საქართველოს ფარგლებს გარეთ და ამაზე შეჩერდება ჩვენი ნატოში ინტეგრაცია და რეინტეგრაცია. რუსეთთან ურთიერთობის დათობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

– ბატონო ბააკა, მოდის ახალი ძალა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ძალის მიმართ?

– მოდის ახალი ძალა და მას მოაქვს დადებითი მუსიტი. იმედი მაქვს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც დღესდღეობით არიან საქართველოში, ბუტაფორიებად აღარ დარჩებიან, ფედერაციული მოწყობის საკითხიც წამოიწვეს, სხვანაირად დემოკრატიული ტოლერანტული სივრცე ვერ აშენდება. ახლამა ძალამ ქვეყნის შიდატერიტორიულ საკითხებზეც უნდა იმუშაოს და იზრუნოს.

გამარჯობათ ბატონო როლანდ!

მე ვარ რამინ შელია ჩხოროწყუდან, გახუთ „ილორის“ აქტიური მკითხველი. მინდა შემოთავაზოთ ჩემს მიერ მერგულად თარგმნილი ომარ ხაიაძის რამოდენიმე რობაია:

მეჩეთიშა შუმილო ახალეფიში მინულა,
ვართი მოლაში ნოხიში ართი-ჟირშა ხირუა,
მითინც ვაგეწყინანი მითინქ ვაგეკვირუა,
ალაშიში ნაჭარეფი ტყურათ ვანკომძირუა.

შუმა ვეშილეგენია შაბანიში თუთასია,
ვართ რეჯიბიში თუთასია, მუდგა სუმარი რყუნდასია,
რამაზანც გეფშეათინი ვადომჭყათ თქვა გორაფა,
შენენება, მოთხისუა, ლანძღუა-გინოხორაფა.

თეში მითინც ვეშიალეგე ოჯახიში ეჯუმაფა,
ჭექ ვედესაჭირას ცოდაში პუხუს მობუნაფა,
მარა დორონთი იმენდი რე – სქანი ოროს მა ქუგუალე,
თინი შარა ქუმოძირი გვალო ვადომტუა ხვალე.

მუჭოთი წყარი მოძინელი, მუჭოთ ქარი-ბორია,
მირულენა თე დღალეფი, მის შეულებუ მორია,
ოდო შური მიდგანანი – მეფირთია ვათქუა,
ვართ უღირი, ვართ მუღირი აკა ვადენარღუა.

მუშენ ვორექ ერჩინელი, მი მიწინც ეთის,
სამოთხეს მოფხვადითო დო, ვარ ჯოჯოხეთის,
უნა დვინი, ოსურეფი ამდლა მა ქოპუნდას,
სი სამოთხე სოთ ქორენი – ნისიათ ქოილუდას.

მუდგა გურქუ მორითასნი, შხვას ვაწყინებაფუა,
აკონწყმა ვეშილეგე „თენა თქუა – თინა თქუა“,
შხვაში ამბე ვეგლენია – დამიჯერი ბაბა-სქუა,
ირო თინა ითვინენს მისითი უღუ ღუდცუ ჭკუა.

ბარამი ყუდეს მულარდ დო, დვინც კულათ შუნდუნი,
ცხენით გილებურჯანდ დო, ნადირც მეთხოზდნი,
ამდლა თექი ქუაში მეტი, ვეგიპალუ მუთუნი,
ბარამ დიხას მითოსვანჯ, ჭკუმუნც ჭია-მუნტური.

რინა მურე – წვალეპარე, მის არტინე ღურაშა,
მიცვა-ლაყაფი გისხუნდას გურთა დო ნდურაშა,
ჭე ღუდიშა ქინეიჯინი ბოლო დღაში მულაშა,
ეზმა მუთა მემიძნა, დიხას საფულაშა.

მაქვს საკუთარი ლექსები 1000 სტრიქონზე მეტი და დაახლოებით ადენივე თარგმნილი სტრიქონი მათ შორის: ძველ ეგვიპტური ლირიკა, რომელიც ლირიკოსები: კატულუსი, ტიბულუსი, პროპერციუსი. ძველი ბერძენი ლირიკოსი – საფო. სპარსელი პოეტები: შაჰიდ ბალხელი, რუდაქი, ქესაი მარაველი, ნასერ ხოსრაგი, ომარ ხაიაძი, საადი შირაზელი, ჰაფეზი.

წინასწარ გიხდით მადლობას.
პატივისცემით,
რამინ შელია

გთხოვთ ჩემი მოკითხვა გადასცეთ ბნ ვიორგი სიჭინავას. მადლობას ვუხდით (დიდი დაგვიანებით) ლექსის კრებული „მურობუმი“ რომელიც მან საჩუქრად გამომიგზავნა.

ლადო ძირია,
ზუგდიდი

მერაბ კოსტავას პოეზია

საქართველოს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მამულიშვილთა სეპეტიდ სმირ შემთხვევაში პოეზიის მაღლითაცაა გაცისკროვნებული. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული მებრძოლი, ადამიანთა უფლებების შეუპოვარი დამცველი, ეროვნული გმირი, გენიოსი მოახროვნე და პოეტი მერაბ კოსტავა. გარდა ლექსებისა იგი ავტორია არაერთი პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილისა, იგავებისა, მონოგრაფიული ნაშრომისა „ფიქრები საქართველოს მისსიაზე“, თარგმანებისა და ა. შ. მისი სახალხო გამოსვლები და პირადი ბარათებიც კი ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ნიმუშებს წარმოადგენს.

მ. კოსტავა თავისი კალმით, თუ სიტყვით ყოველთვის ესმინებოდა ეპოქალურ მოვლენებს, ქვეყანაში არსებულ პრობლემურ საკითხებს და აქვეყნებდა მათ პერიოდულ პრესაში თუ თვითგამოცემის შურნალებში – „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მთაბეჭ“. ამ უკანასკნელთა გამოცემა კი ათი წელი უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს საბჭოთა გულაგში. იგი წერდა ციხეშიც და ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიული ნაშრომი სწორედ ციხეში დაიწერა და კიდევ – მრავალი პოეტური შედეგრი.

ვახსენოთ ღმერთი და დიდი მოკრძალებითა და რიდით შეგუდგეთ მერაბ კოსტავას პოეზიის განხილვას.

უპირველეს გვინდა შეგახსენოთ, რომ მერაბ კოსტავა უდიდესი ქრისტიანი გახლდათ, ათი მცნების განუხრელი დამცველი. იგი არასოდეს განშორებია უფალს, მარად უფალთან იყო და მასში გახლდათ თავად უფალი. განა მერაბი არ გვიდასტურებს ღვთისა და კაცის განუყოფლობას თავისი აზრით: „რომ შემეკითხონ, თუ ვინ უნდა გიყვარდეს უფრო მეტად ღმერთი თუ მოყვასი, გუპასუხებ, რომ ეს ორი რამ არ არის ურთიერთისგან განთავისებული, რადგან ღმერთი თავისი განკაცებით მოყვასად იქცა, ხოლო კაცური საწყისის, ანუ იესოს უკვდავყოფით კი მან ღმერთად აქცია მოყვასი“.

მუდმივად ღვთისადმი ღოცვის და ვედრების პროცესი გახლდათ მთელი მისი ცხოვრება და ღვაწლი.

პოდა, უფალმაც უხვად დააბურტყა თავისი მაღლიანი კალთა და უბოძა მრავალმხრივი ნიჭი: ნიჭი ქრისტესმიერი სიყვარულისა, ზედადამიანურობისა, მუსიკისა და პოეზიისა, სიბრძნისა და ქველობისა, უდიდესი ღირსებისა და სამაგალითო თავმდაბლობისა, მოყვასისადმი თანადგომისა და ერთგულებისა, თავისი ქვეყნის უკიდევანო სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვისა.

და შეხედეთ, აი, ასეთი მერაბ კოსტავა, როგორ ევედრება უფალს თავის ერთერთ ლექსში:

„შენ გვედრები სულით გლახაკი ვინმე დევნილი სიმართლისათვის“.

დიახ, მიწაზე არსებობის მანძილზე იგი სწორედაც რომ სიმართლისათვის დევნილი გახლდათ. არ დაკლებია ცოდვილ მიწიერთაგან მრავალი განსაცდელი და წამება. მაგრამ „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფიველი ცათა“.

მერაბ კოსტავა უძლიერესი, ბოლოქარი სულის ადამიანი გახლდათ. მისი სული მუდმივ ბორკვასა და სიბრძნის ძიებაშია. იგი არ იყო მხოლოდ მიწიერი ბინადარი, იმავდროულად – ზეციურიც გახლდათ. დიდი ოკულტური განსწავლულობით გამორჩეულ მერაბს, ვინ იცის, თავისი ბუმბერაზი სულის ჭურჭელი-სხეული რამდენჯერ დაუტოვებია და გაჭრილა კოსმოსში, მართლაცდა კოსმიური პიროვნება. ვფიქრობთ, ჩვენს აზრს ამკვიდრებს მისი ნათქვამი გადმოცემული ლექსში „სული დაიცა“:

„ადევნებისარ ცაში კომეტებს ზეესთან შეკრული სახით, სჭირებ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში“.
სწორედ განგებას უბრძობა მრავალფერ-

ოვანი ლექსის მადანი. მისი პოეზია კი სამადლობელით უპირველეს უფლის სადიდებლად ადევნებდა. მერაბი მგზნებარე ხელოვანი გახლდათ, მუსიკის, სიტყვის, პოეზიის ხელოვანი. მას კარგად ესმის პოეზიის მაღალი დანიშნულება, ამიტაც განუმეორებლად ამადლებულია მისი ლექსი.

მთელი რიგი ლექსებისა რელიგიური თემისადმი აქვს მიძღვნილი: „შენ გვედრები სულით გლახაკი“, „ქართული საგალობელი“, „იყავ უმწიკვლო ვითა ცხოვარი“, „ღვთისმშობლისადმი“, „ღირს მამა დავითს“, „ბიბლიური რემინისცენციები“ და ა. შ.

უფლისადმი ევედრება და სადიდებელი ლაიტმოტივად გასდევს მერაბ კოსტავას პოეზიას.

„ცდაში მარჯვენა არ მომიცარო, აბჯრად ამასხი ძალი თმენისა, უკვდავებისა შთამასვი წყარო, შემასხი ფრთენი აღმაფრენისა“.

„ღირსად მევე შენი გამოცხადების დამბადებლო და მაცხოვარო“.

მართლაც საგალობელით ტკბილ-მოვანია ლექსი მისი „ქართული საგალობელი“.

„არ ამოვიკრავთ პირს ვინაიდან წილად გვარგუნე ღმერთების ენა, გიგალობთ რადგან დასაბამიდან ყოველი არსი გიგალობს შენა“.

ღვთისმშობლისადმი მისი დიდი თაყვანისცემა ყველასათვის ცნობილი ფაქტია. როდესაც საქართველოში ჩამოაბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, იგი აეროპორტში შეეგება. თვითმხილველები ამბობდნენ: კი არ დაუნოქაო, პორტაიტის ღვთისმშობლის წინაშე მუხლებზე დაეცაო მერაბ კოსტავა.

მოუხსმინოთ თვითონ მერაბს, როგორი რწმენა აქვს ღვთისმშობლის ყოვლისშემძლების და როგორი იმედი აქვს მისი შემწეობის:

„სოფლისა წარმავალობამ გამიასკეცა ჭრილობა, თუ მისხნის შენი წყალობა და შენი წილხედომილობა“.

„სული მომადლე თმენითა გამოუთქმელი ენითა ხრწნილებათაგან დამისხენ უხრწნელებითა შენითა“.

რა თქმა უნდა, ლექსის მთლიანად მოყვანას არ ვაპირებთ. იგი ერთი ამოსუნთქვითაა გალობით შედგადებული დედაღვთისადმი. მხოლოდ ორ სტროფს შემოგთავაზებთ კიდევ:

„ადამის მოდგმის გაისო, ცისკენ გამდებო ხიდისა, სერაბინთ უხესთავსო წინაშე ძისა შენისა, მას დღესა განკითხვისასა ნუგეშად გამოგვირდი რომელი გვექმენი შუამდგომლობა“.

ლექსით „ღირს მამა დავითს“ მერაბ კოსტავა ერთგვარად პატივს მიაგებს წმინდანთა და წამებულთა ცხოვრებას და, კერძოდ კი, წმიდა მამა დავით გარეჯელს. „ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა, იმისი მაღლით ხამს სატანა შენგან განვიდვს, მთაწმინდის ზეცა თავადაა ღოცვა ანკარა, ღოცვა წართქმული წმიდა ბაგით მამა-დავითს“.

მერაბის ამ პოეტურ მოფერებას უკვალოდ არ ჩაუვლია და სამშობლოსთვის ნატანჯი და სანთლად დადგენილი მისი სულის ჭურჭელი მთაწმინდის წმინდა საკანემ მიიბარა.

უდიდესი სიყვარულით მიმართავს იგი უფლის სამსახურად მდგარ წმიდა მამა დავითს:

„გარესჯად იდექ, დამეების თეთრად მთვეელი, ნათლისა სვეტი წყვდიადისგან დაუძლეველი, ანაზღუელი ჩამოგესმა რეკვა ციდანა, იესოს კვალზე როს ედგეში ალვად იზარდე“.

უფლის სადიდებელ თემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსს „ბიბლიური რემინისცენციები“.

მერაბ კოსტავა სწორედაც რომ ამგვარი რემინისცენციებით ცხოვრობდა და თავადაც საჩინოდ ჩამოჰგავდა ბიბლიურ გმირს. უფლისადმი უსაზღვრო თაყვანისცემა გამოსჭვივდა მის ყოველ აზრში, სიტყვასა თუ ქმედებაში. საოცარი სულიერი ხედვა გააჩნდა. სწორედ ასეთი ხედვის უნარის მქონეს შეეძლო შეექმნა ეს დიდებული ნაწარმოები უფლის ნების აღსრულებასე სამყაროს შექმნის დასაბამიდან – დღემდე.

ერების წარმოქმნას თუ ვით განაწესებს უფალი, მოუხსმინოთ მერაბს:

„ერი რომ შეგვრა, სხვა დუღაბი უნდა მივავო, ცის ჰარმონიას ვაზიარო რვალივით მტიცევს.“

შეგარჩევ მათგან გამობრძმედილო სივრცეში, დროში, მხოლოდ იმგვარებს სიკვდილსაც რომ არ ნებდებიან.

თუ არ იცხოვრებს, არ გაკაუნენ მტრულ გარემოში, ჭეშმარიტ ერად ვერასოდეს გარდიქმნებიან“.

მერაბ კოსტავას ჩინებულად ესმოდა საკრალურ ციფრთა რაობა და ღვთიური დანიშნულება.

„სცან შენი მოდგმის ბალავარი, ურდვევი მიწვივ, წარსულად შეიდი, საფანელი ცდომილთა ბუდის, მიმავლად უძრავ ვარსკვლავეთის თორმეტი რიცხვი.“

შეიდი საწყისად გენეზისის, ჟამისმიერის, თორმეტი ფუძედ ერთდროულის და სულიერის. მათი კავშირი დროს და სივრცეს ასულიერებს, რადე უთუოდ მოდგმას შენსას გააძლიერებს“.

მ. კოსტავა ადამიანში, რა თქმა უნდა, სულის ჰეგემონიას აღიარებდა და ყოველ მეცნიერებას ბოროტებად მიიხსენებდა, თუ მეცნიერნი უფლის კურთხევით არ მოქმედებდნენ.

„სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი, და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი, წმინდათა წმინდა საკურთხეველად თუ არ აქცია“.

ამ ნაწარმოებში პოეტი ხატონად გადმოგვცემს დედამიწის ფორმათა ცვალებადობას, ატლანტიდის ჩაძირვას, ახალი მატერიკების და ზღვების გაჩენას. და ყველაფერს, რა თქმა უნდა, უფლის კანონ-ზომიერ ქმნალობად აღიქვამს. აქვე კარგად მოჩანს ავტორის მიერ სხვადასხვა მეცნიერებებისა და რელიგიების ძალიან კარგი ცოდნა.

მ. კოსტავას პატიმრობის ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს, ათწლიანი პატიმრობის ხანას, არაერთი შედეგრი განეკუთვნება. აქედან არ შეიძლება არ გამოვეყოთ ლექსი „მას ქრისტესმიერს“, რომლის შესახებაც შემდეგ ვისაუბრებთ, და ასევე საკმაოდ დიდი ფორმატის ლექსი „შემშილობა“. ეს უკანასკნელი პატიმარმა უვადო შემშილობისას დაწერა. შემშილობის მერვე თვეს იშვა ეს შედეგრი. ეთერის სიმჭვირვალის გადმოცემის მერაბი შემშილობისას დაუფლებულ განცდებს.

„გარემოცვისას ბევრმა ქალაქმა მონის ბორკილი არჩია შემშილს“.

მერაბმა პირიქით, მონის ბორკილს შემშილი არჩია და წელიწადი და თვენახევარი სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე იდგა.

„და ხელოვნურად ვისაც კვებავენ, შეუნელებელს განიცდის შემშილს. ტანჯვაში ვერის შეცილება ამგვარი ხევერი ვისაც არ ასცდა“.

ბრძანებს პოეტი და მართლაც რომ გაუგონარი სულის სიმტკიცე და ნებელობა გვჩვენა თავისი ცხოვრების ამ ჯვარცმული პერიოდით. მიუხედავად ამისა, მ. კოსტავა სულ თავის საფიცარ სამშობლოს დასტრიალებს ფიქრებით და უფალს ავედრებს:

„უფალო, ღირს მევე ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხევერით სიმძიმეს, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის“

იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ“.
ეს სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ გენოსის პოეტის ბაგიდან შეიძლება აღმოხდარიყო.

დიახ, მეგობრებო, ჩვეულებრივი ქრისტიანები ვიდგვით იმისათვის, რომ როგორმე ცოდვანი ჩვენნი და კარმული ვალებიც მოვიწინოთ და იმ ქვეყნად, შეძლებისდაგვარად, განწმენდილნი წარვდგეთ, რათა ცათა სასუფეველში დავიმკვიდროთ ადგილი. მერაბ კოსტავა კი, ეს დიდი ქრისტიანი, არც იმქვეყნიურ ტანჯვა-წამებას დაგიდევთ რამედ, ოღონდ კი მამულს ააცილოს განსაცდელი.

მერაბ კოსტავასთვის ძალზედ სისხლხორცეულია ისეთი მარადიული ღირებულებები, როგორცაა სიყვარული და ერთგულება; თავდადება და თავგანწირვა სამშობლოსადმი, მეგობრისადმი, მოყვასისადმი. ზოგადასაკაცობრიო პიროვნება გახლდათ იგი და ვერ ეტყევა მხოლოდ ნაციონალურ ჩარჩოებში. ამიტაც თავის თავს უპირველესად ზეცის კუთვნილებად გვიხატავს, შემდეგ მთელი დედამიწის, ხოლო ამის შემდგომად – საქართველოსი.

„წილხედომ სიკვდილს თუ ვუმხერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი ვაგეთლო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“.

გრძელვადიანმა შემშილობამ კიდევ უფრო გააძლიერა მ. კოსტავას მისტიკური ხედვა და აზროვნება:

„კვლავაც აღგემართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლომეო ცასთან კვლავ შეგაერთებს, როს შემშილობა ბოლომდე განდობს საიდუმლოთა, დიდთა, სიკეთეს.“

იგრძნო ტოლსტიმ, შამილმა, განდომ ხორცის მიღება რად აღიკვეთს“.
როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პოეტი მერაბ კოსტავა ნიადაგ სამშობლოს სიყვარულით საესე ცხოვრობს და სუნთქავს, ნიადაგ სამშობლოსი და მოყვასის მავედრებელია უფლისადმი:

„შემაძლებინე მაღალო ღმერთო მოყვასთა – ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე გვერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვოს“.

ძალზედ საუფლისხმოა მოყვასის სიყვარულის მერაბისმიერი განმარტება: „მოყვასის სიყვარული სინდისის, ყველანაირი სიქველის, გმირობის, თავგანწირვის, ერთგულების, თანაგრძობის, მშვენიერების გრძნობისა და თვით სიბრძნის საწინდარი, ქრისტიანობის უპირველესი პირობაა და თავად ღვთის სიყვარულიც კი არ არის მის გარეშე სარწმუნო“.

მოყვასის სიყვარული უმაღლეს რანგში, ღმერთის სიყვარულამდე აჰყავს მერაბს. ხოლო მოყვასთა შორის კი, ყველაზე გამოჩენილი, მას ქრისტესმიერი ძმა უყვარს.

დიახ, და ზვიად გამსახურდიას ფეროშენი მერაბ კოსტავას მსგავსად არავის წარმოუჩენია ჯერაც, ვერავინ ჩასწვდომია მის სულიერ სიღრმეებს, ვერავის გაუდევნებია თვალი მისი ცნობიერების, ცოდნის პრიზონტისათვის.

მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ყველაზე კარგი შემფასებლები იყვნენ ურთიერთის, უდიდესი კრძალვითა და პატივისცემით იყვნენ ერთმანეთისადმი განმსჭვალუდნი, რაც მათ პოეზიაშიც აისახა. უსათუოდ უნდა აღინშნოს მათი უბადლო მეგობრობის ამბავი, ეს იყო „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი მეგობრობის დასტური ობიექტურ სინამდვილეში.

მათ არა ერთი პოეტური ნიმუში უძღვნეს ერთმანეთს. მერაბის მიძღვნილთაგან გამოვეყოფდით მისი პოეზიის ერთერთ შედეგს, ოდას – „მას ქრისტესმიერს“.

რუსულან თორღვაშვილი, მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანიას კალაქის მილანში კულ-ის თანამშრომელი "უსტუმრა"

კახა კალაქის განცხადებით, მილანში კულ-ის თანამშრომელი იმყოფებოდა, რომელიც მასზე მასალებს აგროვებდა. "ქართული ოცნების" წევრი არ ასახელებს ამ პიროვნების ვინაობას, თუმცა ამბობს, რომ ეს ინფორმაცია მას იტალიის უშიშროების სამსახურმა და მისმა მეგობრებმა მიაწოდეს. "სამწუხაროდ, არ მაქვს უფლება დავასახელო იმ პიროვნების სახელი და გვარი, მაგრამ გეტყვით, რომ ეს ადამიანი საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელია", - გვითხრა საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა.

თუ როგორ აპირებს კალაქი საპარლამენტო არჩევნებში სამტრედიის კონკურენტის დამარცხებას, რა პასუხს გასცემს საზოგადოებას, მასზე ავტორულ ბოლონდროინდელ სკანდალებზე, ამ და სხვა საკითხებზე ყოფილი ფეხბურთელი ჟურნალისტებს ესაუბრა.

- გაავრცელე განცხადება, სადაც ამბობ, რომ მილანში შსს-ს წარმომადგენელი იმყოფებოდა და შენზე ინფორმაციებს აგროვებდა. ვინ იყო წასული და რა საკითხთან დაკავშირებით აგროვებდა ინფორმაციებს?

- საქმე ეხებოდა იტალიაში საფეხბურთო სკანდალს. ჩემი გვარი თავიდან სატელეფონო საუბართან დაკავშირებით ფიგურირებდა, თუმცა ამასთან მიმართებაში ყველაფერი დამთავრდა. განცხადებაც გააკეთე და თუ საჭიროება მოითხოვს, მზად ვარ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავცე. იტალიელებისთვის ეს განცხადება გასაგები იყო და ძალიან ბევრ რამეს ნიშნავდა.

ამ ყველაფრის შემდეგ, ჩვენს ხელისუფლებას მაინც სურდა, საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ დამნაშავე ვიყავი და ვიდაც კრიმინალთან შეხება მქონდა. არაფრისგან შავი პიარის აგორება უნდოდათ, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ძალოვნების არავის აღარ სჯერა.

რაც შეეხება პიროვნებას, უფლება არ მაქვს ამ ადამიანის სახელი და გვარი

დავასახელო, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ვიცით. ეს ინფორმაცია იტალიის უშიშროებამ და ჩემმა სამეგობრომ მომწოდეს. რაც მთავარია, ვიცით ის ვინც არის - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელია.

- თუმცა შენზე სკანდალი ამით არ ამოწურულა, გაავრცელე ინფორმაცია, რომ 14 ივნისის ოზურგეთის აქციაზე მილანში იმყოფებოდი, სადაც ქართველ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს შეხვდი. აქამდე ამასთან დაკავშირებით კომენტარი არ გავიკეთებია და ახლა რას იტყვით ამ ინფორმაციაზე?

- ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული კომენტარის გაკეთება სწორედ არ მიმართია. საერთოდ არ გამიკეთებია ამზე კომენტარი, იმიტომ რომ უაზრობაა. სურთ, რომ ასეთ მოგონილ ჭორებზე თავი მამართლებინონ, თუმცა ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის. ამდენი ხანია ფეხბურთში ვმოდგაწვობ და ბიზნესი მაქვს, მაგრამ კრიმინალურ სამყაროსთან შეხება არასოდეს მქონია. აქ სწორედ იმიტომ ვარ, რომ კრიმინალებს და ნაძირებს ვებრძოლო, რომელიც დღეს ხელისუფლებაში მოგვევლინენ.

- სამტრედიის მავორიტარ დეპუტატად იყრი კენჭს...

- სამტრედიის შეხვედრები მქონდა, თუმცა მაშინ ჩემი სახელი მავორიტარ დეპუტატობასთან დაკავშირებით გაუდგურებული არ ყოფილა. ეს იყო უბრალო შეხვედრები, მაინტერესებდა, თუ რა ხდებოდა სოფლებში.

სამტრედიის გარდა, გურიაშიც ვიყავი და ფაქტობრივად ყველა სოფელში ერთი და იგივე სიტუაციაა - უმუშევრობა, სიღატაკემდე მისული ჩვენი თანამოქალაქეები. ძალიან რთული მდგომარეობაა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ყველაზე დიდი სოფლებიც კი დაცლილია. ხალხი უცხოეთშია გადახვეწილი. ქვეყანას ძალიან ბევრი ემიგრანტი ჰყავს და მათი რიცხვი დღითი დღე უფრო იზრდება. წასვლის მიზეზი არის ერთი -

უმუშევრობა. ამ მხრივ ბევრი სამუშაო ნასატარებელი.

თუმცა, კარგად მესმის, რამხელა პასუხისმგებლობა მაკისრია და ეს კარგად მაქვს გათვითცნობიერებული. ოქტომბერში, როდესაც ხელისუფლებაში "ქართული ოცნება" მოვა, გლეხებისთვის ბევრი რამ შეიცვლება.

- რა პრობლემებიც ჩამოთვალე, როგორ აპირებ მათ მოგვარებას?

- პრობლემები მართლაც ძალიან ბევრია. მაგრამ ჩვენი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ ეტაპზე ერთი მილიარდის ინვესტირება ჩაიდება - ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი თანხაა. მხოლოდ პირველ ეტაპზე მაქვს საუბარი.

ეს ნიშნავს, რომ ქალაქში თუ სოფელში, ყველას ექნება საშუალება ტრანსპორტი ჰყავდეს, მიწა დაამუშოს, შხამქიმიკატები იყიდოს, რომელიც სჭირდება მოსავლის მოყვანისთვის. გლეხს ყველანაირი პირობა ექნება, რათა გაძლიერდეს.

ჩვენ უნდა გვექნოდეს ძლიერი სოფელი. როდესაც ძლიერი სოფელი გაქვს, ქალაქიც ძლიერი იქნება. ასევე ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჯანმრთელობის დახვეწვა ექნება.

კიდევ ერთი პრობლემა, ეს არის სოფლებში გაზისა და წყლის უქონლობა. 21-ე საუკუნეში ამაზე რომ გვიწევს ლაპარაკი, ცოტა არ იყოს სასაცილოა. ხშირად ვისმენ ხელისუფლების მხრიდან, რომ "ერთი ხელის მოსით არაფერი არ კეთდება" - ამაში მათ ნამდვილად ვეთანხმები, მაგრამ უკვე 8 წელი გავიდა და ეს ძალიან დიდი დროა. კარგი იქნებოდა, რომ ლაპარაკის ნაცვლად მართლაც საქმე ეკეთებინათ, როგორც მათი ღირსეულობა.

- როგორ ფიქრობ, რითი აჯობებ შენს უშუალო ოპონენტს სამტრედიისში და რა უპირატესობა გექნება მასთან მიმართებაში?

- არ ვიცი, "ნაციონალების" მხრიდან კანდიდატი ვინ იქნება. მე არავის არ ვე-

ჯობრები, თუმცა კონკურენცია იქნება. ყველაფრისთვის მზად ვარ, ჯანსაღი კონკურენცია მაქვს მხედველობაში და არა ის სიბინძურე, რასაც "ნაციონალური მოძრაობა" აკეთებს.

თავად სამტრედიელმა ამომრჩეველმა გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა იყოს მავორიტარი დეპუტატი. მათ ნამდვილად ვერ ვაკადრებ იმას, რომ ვინდა თუ არა ხმა მომეცით-თქო.

ქვეყანა შიშის ქვეშ ცხოვრობს, რომელიც ჩვენმა სახელგანთავსებელმა პოლიციამ დათესა. მაგრამ ხალხი მინდა გავუხსნა, რომ ამ პოლიციაშიც ძალიან ბევრი ღირსეული პოლიციელია, რომელსაც თავისი სამშობლო უყვარს.

თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო, თუმცა დღეს უკვე პოლიციის ნაწილი ექსპანსიურება ერთ მშინარა ადამიანს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რაც ძალიან მალე დასრულდება.

მ. მგალობლიშვილი



იუმორი

ბენდუქიძე პლაჟზეა, ხედავს მართი ჩიბარო იღებს მზის აბაზანებს. შეხედა კახამ მუცელზე და ეკითხება:

- ეგ რა არის?
- ეს პრესია, მეგობარო! - პასუხობს ჩიბარო.

კახამ ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო:

- აი, პრესი ესაა, ეგ კი ავადმყოფი მშვიერის მუცელია...

ცხოვრება საქათმის კიბეს ჰგავს, მოკლეა და სკინტლით დასვრილი.

წარწერა ჩინეთის სამშობლიარო სახელზე: "კმარა!"

ახალგაზრდა აღმზრდელი ეკითხება თავისზე გამოცდილს:

- როგორ უნდა მივხედეთ ბავშვის დასაბანი წყალი ცივია თუ ცხელი?
- ძალიან ადვილად, თუ ბავშვი გაღურჯდა, ესე იგი წყალი ცივია, თუ გაწითლდა - ცხელი!

- ანიკო, ვთხოვდები, როგორც იქნა ჩემი ოცნების გამაგაცი გავიცანო.

- როგორი ტიპია?
ქალები სულ პირდაღებულები უყურებენ.

- ასეთი ლამაზია?
- არა, სტომატოლოგია!

- ბოლო დროს ძალიან დაბნეული გავხდი, - შესწივის მეგობარი მეგობარს.

- რას გულისხმობ?
- დღეს დილით, საუზმის დროს, მოხარულ კვერცხს ვაკოცე, ცოლს კი შუბლზე კოვზი მიუჯაკუნე - პასუხობს დარცხვენელი.

ილია მეორე: „ადამიანებმა ერთმანეთის სიმძიმე უნდა იკისრონ“



საკვირაო ქადაგებაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე თანადგომის აუცილებლობას შეეხოდა, რაც ყველაზე მეტად დეფიციტური და დეფინდელ ქართულ საზოგადოებაში.

უწმიდესმა და უნეტარესმა პავლე მოციქულის სიტყვები გაიხსენა - „ურთიერთისა სიმძიმე იკისრეთ და ესრე ადასრულეთ რჯული ღვთისა“.

კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, ადამიანებმა ერთმანეთის სიმძიმე უნდა იკისრონ, სულიერი იქნება ეს თუ სხვა რამ.

„ადამიანის გაჭირვება უნდა დაეინახოს.“

უნდა თანაუგრძნოთ, რაც უნდა მიიმეცოდება ჰქონდეს, თქვენ უნდა დაეხმაროთ მას და ღმერთი დაგეხმარებათ თქვენ. დღეს არის თანადგომის დღე და ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ შევუდგეთ ერთმანეთს“, - ბრძანა პატრიარქმა და თავისი სულიერი მოძღვარი მამა შიო გაიხსენა, რომელიც თურმე მასთან ჩადიოდა ბათუმსა და სოხუმში და მისგან აღსარებებს იბარებდა.

კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, როდესაც მამა შიო დაინახავდა, რომელიც ცოდვისაგან ძალიან შეწუხებული იყო, ეტყოდა: მეუფეო, ილოცე და ნუ ვანიცდი, მეც მომსვლია ასეთი ცოდვა.

„შეიძლება მას არც ჰქონია ასეთი ცოდვა, მაგრამ იმდენად კეთილშობილი იყო, რომ მამუშვიდებდა მე და, როცა ჩაიბარებდა აღსარებას, მომხვედრებოდა და მეტყოდა: ახლა შენ ანგელოზი ხარ, ღმერთმა შეგინდოს ცოდვები“.

როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა აღნიშნა, მრავალი განსაცდელი არსებობს დედამიწაზე, მრავალი ცოდვა, სიკეთე და ბოროტება, მაგრამ სიკეთე არსად იკარგება. სწორედ ამიტომაც აუცილებელი თანადგომა და ერთმანეთის გატანა დღევანდელი განსაჭირის უამს.

სწორედ ამ, მოჭარბებულმა სიკეთემ გამოატარა საქართველო ისტორიის ქარტეხილებში, რომელსაც ჩვენზე უფრო დიდმა სახელმწიფოებმა ვერ გაუდეს და აღიგავენ პირისაგან მიწისა.

ვეროკავშირი - საქართველო: მორიგი დიალოგი ადამიანის უფლებებზე ქვეყანაში, სადაც ისინი არ არის...

თბილისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების საკითხებზე დიალოგის მორიგი რაუნდი გაიმართა.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების საკითხებზე დიალოგი ორმხრივი პროცესია.

„დიალოგის წინა რაუნდის შემდეგ, რომელიც 2011 წლის ივნისში ჩატარდა, სამართლებრივი რეფორმის, აღმსარებლობის თავისუფლების, იმულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით წინსვლა გაგრძელდა. ასევე, აღინიშნა, რომ 2011 წლის მაისის შემდეგ ჩატარებული დემონსტრაციების უმეტესობა მოწესრიგებულად მიმდინარეობდა. მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში ევროკავშირი მოელოდა, რომ მიღწეული ტოლერანტული და პლურალისტური პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისა და ზეწოლის ან სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებულ განცხადებებზე სწრაფად რეაგირების მიმართულებით კვლავ წინსვლა დაფიქსირდება“, - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

დიმიტროვის განმარტებით, დისკუსიები შეეხება საკითხების ფართო სპექტრსაც, რომელთა შორისაა: პატიმართა დიდი რაოდენობა, სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების ანგარიშგადღებულება, უმცირესობები, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება და ადამიანის უფლებების მდგომარეობა რეგიონებში.

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
სარედაქციო საბჭო: **თამარ ქორიძე, ზურაბ ჯაფარიძე, თანგიჯ კახლაშვილი, კლინაზი შალია, გივი სოხიუშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სულაყია (ბალი)**
ბაქანიური რედაქტორი: გიორგი მინაშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge